საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი 16 იანვარი 1919 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

ფასი დღიურ: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი უღებან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება ადრესით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 11 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 11

გულმოკლულნი მეუღლე ეკატერინე მაქსიმეს ასული, შვილი ქეთევანი, ძმები: ნიკიტა და გიორგი, დაი ანასტასია, მამიდაშვილი ნესტორ ქუფასელი, სიდედრი კასიანა თედორეს ასული ბოკერიასი, ცოლის ძმები: ივანე, ბიქტორ, მიხეილ და თედორე, ცოლის დები: ნინა და ოლია ბოკერიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობარ-ამხანაგებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**პავლე სპირიდონის ძე ჩიტაიას**

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება საკუთარ სახლიდან (ქ. ფოთი, ლეილენის ქუჩა) მოხდება ხუთშაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე, 16 იანვარს. დაკრძალვა ადგილობრივ სასაფლაოზე. (2—2)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე პეროვნის ასული, შვილები: ნიკოლოზ, მიხეილი, თამარი და გიორგი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ კახეთის რკინის გზის ნავთლუღის სადგურის უფროს ტელეგრაფისტის

**ალექსანდრე სვიმონის ძე ზაქრაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა 16 იანვარს კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება დილის 9 საათ.. მისამართი: სამოვოლნი ქ. № 1.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ან ჩქა, დედა სოფიო, დაი ირინე, ბიძაშვილი სიმონ ბერიძეები და გრ. ქლენტი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს

**გოჯასპირ მიხეილის ძე ბერიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ჯვარცხმის ხაზოვალოებაში, სოფელ ახალშენის (გურია) ეკლესიის გალავანში შაბათს იანვრის, 18.

ვ. პორფილეს ძე, აგრაფინა და ვარდოფინე ქვარიას ასულნი აუწყებენ ნათესავებს, რომ ხუთშაბათს, იანვრის 3 (ძვ. სტ.) ზემო ჩიბათის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი საყვარელი დედის

**კესა ჩიქოვანის ასულის**

სულის მოსახსენებლათ.

თბილისის საქონლის სადგურის მუშათა პროფესიონალური კავშირის სექცია ამით აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს, რომ სანაინში გმირულათ დახოცილი გვარდიელები

**მირონის ჩიბოშიძე და პაპო ჩიკვაიძე**

ჩამოასვენეს თბილისში 11 იანვარს დილით, რომელთა ცხედარი იმავე დღეს საღამოს ჯავშნიანი მატარებლით წასვენებულ იქნა სამშობლოში.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: მამა დიმიტრი (ჯიმშერი) დედა ლიზა, ძმა შალიკო და დაი ლუბა წიტაიშვილები, მამიდა ქეთო, ჯუმადია ნიკიფორე მეგრელიძენი, აუწყებენ კეთილებს მათთვის ძვირფასი

**გრიშა დიმიტრის ძე წიტაიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდა 14 იანვარს.

## ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტირაჟის გაძლიერებლად და სახელმწიფო არაჩვეულებრივი ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა სცემს 50.000.000 მანეთის 5 პროც. მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათა ერთი წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წლ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებათ: 5.000 მან., 1.000 მან., 500 მან., 100 მან. და 25 მან.

თუ მსურველნი აღიძრნენ, უსახელო ვალდებულებანი 5.000 მან. და 1.000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობითი ვალდებულებად, რისთვის უნდა ჩაიწერონ თფილისის ხაზინის დავთრებში.

**აღნიშნულ ვალდებულებათა ხარჯებულ განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.**

**ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავლის დასაფარავად და აგრეთვე საწინდარათაც.**

ვალდებულების შეძენა შეიძლება მხოლოდ ნაღდ ფულით.

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში და საკრედიტო კოოპერატივებში. 10—2

## ქალაქის არჩევნების პლატფორმის ქვაკუთხედი

საქართველოს პარლამენტმა 14 იანვარს მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალით ახალი არჩევნები ქალაქის თვითმართველობისა უნდა მოხდეს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ დღიდან, როდესაც ქალაქის ეხლანდელ საბჭოების მოქმედებას ვადა გაუთავდება. დღევანდელი თფილისის საბჭო რუსეთის დროებით მთავრობის კანონის ძალით არჩეული იყო 1919 წლის პირველ იანვრამდის. მაშასადამე, ახალი არჩევნები უნდა მოხდეს არა უგვიანეს თებერვლის პირველ რიცხვებისა. თფილისის დემოკრატია დაფიქრებლივ უნდა შეუდგეს საარჩევნო სამზადისს, რომ ქალაქის ბატონ პატრონობა თავის წარმომადგენლებს ჩააბაროს. რა საკითხის გარშემო იწარმოებს მთავარი ბრძოლა? რას უნდა მიაქციოს თფილისის დემოკრატიამ მთავარი ყურადღება არჩევნების დროს?

მან უპირველეს ყოვლისა უნდა გამოარკვიოს ის, თუ რა ავადმყოფობა დღევანდელ საბჭოს და რა უსპობდა მას სრულიად მოქმედების და საქმიანობის უნარს? ქალაქის საბჭოს უკანასკნელმა სხდომებმა ყველას დაანახვა, რომ მას საქმის გაკეთება არ შეუძლიან, რომ მისი შემადგენელი ელემენტები ისე აუტანლობენ ერთმანეთს, რომ საბჭო ერთის ალაგზე გაყინული დგას, უმნიშვნელო და უბრალო საქმესაც კი ვერ აკეთებს. რით აიხსნება ყველა ეს?

ეს იმით აიხსნება, რომ დღევანდელ საბჭოს ნაწილები სულ სხვა და სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიზნისათვის ცდილობენ გამოიყენონ ქალაქის თვითმართველობა. დღევანდელ საბჭოს შემადგენლობის თითქმის ნახევარი ვერ ურიგდება საქართველოს დამოუკიდებლობას და ცდილობს თფილისის თვითმართველობა გამოიყენოს ამ დამოუკიდებლობის ძირის გამოსათხრელათ. იგი ცდილობს ქალაქის თვითმართველობა გადააქციოს პოლიტიკურ იარაღათ საქართველოს რესპუბლიკასთან საბრძოლველათ, მის დასასუსტებლათ და მის პარლამენტის მიერ გამოცემულ კანონების დასარღვეველათ. საბჭოს მეორე ნახევარი კი დამოუკიდებლობას სთვლის დღევანდელ პირობებში დემოკრატიზმის ქვაკუთხედათ, ამ დამოუკიდებლობის მოსპობა კი მას მიაჩნია დემოკრატიზმის დანგრევათ და ჩვენი ქვეყნის გადასროლათ ბოლშევიკურ ანარქიის კონტრ-რევოლიუციის ჯურღმულში. როგორც ვხედავთ, შეურიგებლობა ამ საკითხში ერთი მეორის მოსისხლე მტრათ აქცევს საბჭოს ორივე ნახევარს და სწორეთ ეს არის მთავარი მიზეზი მისი უმწეობისა და უძრავობისა.

არჩევნების დროს დემოკრატიულმა ამომრჩეველმა ამ საკითხს უნდა მიაპყროს თავისი მთავარი ყურადღება. დემოკრატიულ პლატფორმით და დემოკრატიულ ლოზუნგებით თითქმის ყველა არსებული პარტიები გამოვლენ. მაგრამ დემოკრატიული ამომრჩეველი არ უნდა მოტყუვდეს ამ პლატფორმებით და ფრაზებით. დაწერა დემოკრატიულ პლატფორმისა, წამოსროლა დემოკრატიულ ლოზუნგებისა და ყვირილი რევოლიუციონურ ფრაზებისა ძნელი არ არის, ამ პლატფორმების, ლოზუნგების და ფრაზების გულწრფელობას შემოწმება უნდა. ეს კი მხოლოდ ერთი საშუალებით შეიძლება: **დღევანდელ პირობებში დემოკრატიის მტერია ყოველი ის პარტია, რომელიც არ სცნობს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას;** რევოლიუციონურ მოძრაობის ჩახშობისაკენ მიგვყავართ ყოველ იმ პარტიას, რომელიც დღევანდელ პირობებში ქადაგობს ორიენტაციას რომელიმე სახელმწიფოსაკენ და საქართველოს დამოუკიდებლობას ძირს უთხრის; კონტრ-რევოლიუციის გაძლიერებას ემსახურება ის პარტია, რომელიც დღევანდელ პირობებში რუსეთთან გაერთიანებისაკენ მოუწოდებს ხალხს. ყველა ამ პარტიებთან საქართველოს დემოკრატიას მოუხდება არჩევნებში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, მიუხედავათ იმისა, თუ როგორ საარჩევნო პლატფორმას წამოაყენებენ ისინი.

დემოკრატიული და რევოლიუციონური პლატფორმა, რასაკვირველია, აუცილებელი მოთხოვნილებაა ყოველ პარტიისათვის, რომელსაც კი დემოკრატია აღჭურავს თავის ნდობით, მაგრამ ჩვეულებრივ დემოკრატიულ პლატფორმის აუცილებელ შემადგენელ ელემენტათ და მის ქვაკუთხედათ მომავალ არჩევნებში უნდა გადიქცეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

არა დემოკრატიულ პარტიებთან, რასაკვირველია, ჩვეულებრივი ბრძოლა დაგვჭირდება, მაგრამ არა ნაკლებ გამწვავებული ბრძოლა დაგვჭირდება იმ პარტიებთან, რომელიც გარეგნობით დემოკრატიულ ნიადაგზე დგანან, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობას კი უარყოფენ.

ბრძოლა ორ ფრონტზე მოგვიწევს: არადემოკრატიულ პარტიებთან და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებთან.

## აგრარული კანონ-პროექტი

პარლამენტს უკვე წარედგინა განსახილველათ მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი აგრარული კანონ-პროექტი, რომელიც პარლამენტის აგრარულმა კომისიამაც მიიღო.

როგორც ვიცით, ამ კანონ-პროექტის პარლამენტში გატარება მარტოდ მარტო სოციალდემოკრატიულ ფრაქციას მოუხდება, თუ სახეში არ მივიღებთ ისეთს უმნიშვნელო ჯგუფებს, როგორიცაა ფრაქცია რადიკალ დემოკრატებისა, რომელიც კანონ პროექტს მხარს უჭერს, სომხურ „დაშნაკცუთიუნს“ და სახალხო პარტიას, რომელთა აზრი ოფიციალურათ ჩვენ ჯერ არც კი ვიცით.

რითი უნდა ავხსნათ პარლამენტის თითქმის ყველა ფრაქციების ამხედრება ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ? რას უნდა მიეწეროს სოციალისტ-რევოლიუციონერთა და ფედერალისტების მხრით ჯერ ფორმალური მოთხოვნის წამოყენება, რომ ახალი აგრარული კანონ პროექტი დამფუძნებელ კრებამდი ყოფილიყო გადადებული და შემდეგ, როცა ეს მოთხოვნა არ შეიწყნარეს, აგრარულ კანონ-პროექტის არსებითად უარყოფა? ნუ თუ ამ პარტიებმა არ იციან, რომ დამფუძნებელი კრება ნორმალურ პირობებში შეიკრიბება არა უადრეს პირველი მარტისა და რომ მას იმდენი საორგანიზაციო საკითხები ექნება გადასაჭრელი, რომ აგრარულ კანონ პროექტის განხილვას ზაფხულამდე მაინც ვერ შეუდგება?

ეჭვი არ არის, ეს ფორმალური საბუთი უბრალო მომიზეზებაა და თავი და თავი საკითხის არსებითი მხარეა. და ჩვენ უნდა გულახდილად განვაცხადოთ, რომ ესერებს და სოც. ფედერალისტებს დღეს არ აქვთ აგრარულ საკითხში არავითარი გარკვეული ხაზი, მათ სრულიად არ მოეპოვებათ აგრარული პროგრამა. ამით აიხსნება ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც ეს ორი პარტია მოექცა: მიუხედავათ იმისა, რომ ახალ აგრარულ კანონ პროექტის ძირითადი დებულებანი უკვე ზაფხულს აქეთ საკამათოდ არის გამოტანილი, აღნიშნულმა პარტიებმა ვერ შესძლეს მისი საწინააღმდეგო აზრი წარმოადგინათ, ეს საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზე დაეყენებიათ და გარკვეული პასუხი მოეცათ, თუ რა სურთ მათ, თუმცა, ვინ არ იცის, რომ ამ ორ პარტიას დიდიან გაჩენისა გლეხის გულის მესაიდუმლეთ მოაქვს თავი. და დამახასიათებელია ის, რომ იმ პარტიას, რომელიც სულ უკანასკნელ დრომდე გვაბრალებდა გლეხის შეუგნებელ არსებათ დასახვას, დღეს ბ. ბ. ჯ. პ—ვას პირით, თითონ გამოუყვანია ჩვენი გლეხობა შეუგნებელ ჯოგათ, რომელიც თავის ინტერესების შესახებ სწორ შეხედულებას სავსებით მოკლებულია. („სახალხო საქმე“ № 430—14 იანვარი).

ესერ-ფედერალისტების ეს ყოვლად უმწეო პოზიცია ჩვენ სრულიად ბუნებრივათ მიგვაჩნია, რადგან მათი აგრარული პროგრამა ხელოვნურათ იქნა გადმონერგილი რუსეთიდან: ჯერ ესერებმა გადმოიწერეს რუს ნაროდნიკებისაგან სათემო მფლობელობასთან დაკავშირებული პროგრამა, ხოლო შემდეგ ფედერალისტებმა. ამ პროგრამის დამახასიათებელი თვისება, მისი სული და გულია მიწის სოციალიზაცია, ე. ი. ისეთი წყობილება, რომელიც ხელს აღებინებს მიწის საკუთრებაზე წვრილ მესაკუთრე გლეხებსაც. პროგრამის ეს მუხლი იმდენათ მიუღებელია ხალხისათვის, რომ ფედერალისტები და ეს ერები არასოდეს არ ეუბნებოდნენ ამას ხალხის ფართო მასას.

ასეთი მდგომარეობა დღესაც გრძელდება. და ამიტომ არის, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერები და ფედერალისტები, ეს გლეხების დამცველები, როგორც თითონ უწოდებენ თავს, ცარიელ კრიტიკით კმაყოფილდებიან და პროექტის შორეულ მომავლისათვის გადადებას მოითხოვენ, რითაც ისინი პილატესავით ხელებს იბანენ და მთელს პასუხის გებას ჩვენ გვაკისრებენ.

ჩვენც სავსებით ვღებულობთ ამ პასუხისმგებლობას. ამიტომ საჭიროთ ვთვლით ერთხელ კიდევ განუმარტოთ მკითხველს ამ კანონ პროექტის აზრი და მნიშვნელობა.

## პ რ ე ს ა

არჩევნები ჯერ არც კი დაწყებულა და სოც. ფედერალისტებმა უკვე მიაგნეს თავის საბრძოლველ საგანს—ეს გახლავთ სოც.-დემოკრატია.

აი, რას სწერს გაზეთი „სახ. საქ.“ იანვრის 15 ნომერში (431):

„ყოველგვარ არჩევნების სფეროში ცუდი პრეცედენტია შექმნილი. თუ მმართველი პარტიის—სოციალ-დემოკრატიის „იარლიკი“ არა, საარჩევნო ყუთთან გაბედულათ ვერ მიხვალთ. ძალადობა, მუქარა და უსამართლობაა გამეფებული იქ, სადაც უნდა იყვეს სამართლიანობა, ძალდაუტანებლობა და პირდაპირობა, მაგრამ ამ უკულტუროებასთან ჩვენ ბრძოლა გვმართებს დაუძინებელი. ნუ შეგვეშინდება იმის, რომ სოციალ დემოკრატები ერთხელ კიდევ და, უეჭველია, ეხლა უფრო თავ გამეტებით მიმართავენ უკვე ნაცად საშუალებას და ხრიკს. ნუ დავერიდებით იმათ მზაკვრებას, ვინც სარგებლობს სოც. დემოკრატების „გულუბრყვილობით“, სოც. დემოკრატიის ნიშნით შუბლზე და შავი გულით მიდიან საარჩევნო ყუთთან და პირველს ნომერს ჩვენი ცხოვრების არა მკითხე მესვეურთა საამებლათ თეთრ კენჭებს ურახუნებენ“.

ფედერალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ხალხი უეჭველათ ყველა ხმებს მისცემდა, რომ სოც.-დემოკრატია არ ეღობებოდეს წინ. ხოლო ეს გაღობვა მათ წმინდა მექანიკური ძალადობა ჰგონიათ ჩვენი მხრივ. მართალია, სოც. ფედერალისტებმა იციან, რომ გლეხობა, მუშები და საერთოთ დემოკრატია ხმას გვაძლევდა ნიკოლოზ მეფის დროსაც. მით უმეტეს უნდა გვაძლევდეს ხმას თავისუფლების ხანაში; მაგრამ მაინც მეწვრიმლური ანგარიშისთვის თავი ვერ დაუღწევიათ და ყველაფერს ჩვენი პროპაგანდისტების ძალადობას აბრალებენ. ჩვენ გვეგონა, რომ ისეთ სერიოზულ მომენტში, როგორიც დამფუძნებელი კრების არჩევნებია, თავის თავის პატივისმცემელი პარტია პოლიტიკანობის გუდას თავს დაანებებდა და უფრო სერიოზულ საგანს მოკიდებდა ხელს.

ჩვენ არ გამოვუდგებით ამ ნიადაგზე მათთან პოლემიკას. ეს დამამცირებელი იქნებოდა ჩვენი პარტიის ღირსებისთვის. არ გვგონია ასეთ მათოურების მოთავსებით ან სოც. ფედერალისტების პარტიულ კაპიტალს შეემატოს რაიმე, გარდა ნაგვისა.

* * *

ნაც.-დემოკრატებს არჩევნების წინ გადაუწყვეტიათ ცოდვებისაგან განწმენდა და მონანიებას შესდგომიან. ცოდვები მეტად ბევრი და მძიმე აღმოჩნდა:

„ზნეობრივი გამბედაობა მოითხოვს აღიარება, რომ წარსულის გაკვეთილები მაინცა და მაინც სანუგეშო არ არის ჩვენთვის. ეროვნული დემოკრატია დამარცხდა, როგორც რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნებსა, ისე უკანასკნელ საეროობო კამპანიაში. რით აიხსნება ეს დამარცხება? ფსიხოლოგიური განწყობილება არც იმ თავითვე იყო ჩვენს საწინააღმდეგოდ მიმართული. ბოლოს კი თანდათან კიდევ უფრო ჩვენდა სასარგებლოდ შეიცვალა. მაგრამ ჩვენ არ აღმოგვაჩნდა პარტიული მექანიზმი, რომელსაც შეეძლო ამ ფსიხოლოგიური ევოლიუციის გამოყენება. ჩვენ შეგვეძლო ძლიერი სოციალისტური პარტია, რომელიც შეიძლება იდეურად ჩვენზე სუსტი იყოს, მაგრამ ძლიერია ორგანიზაციულად და სასტიკად დაგვამარცხა კიდეც“.

მაშასადამე, საკმაოა კარგი პარტიული მექანიზმის შექმნა, რომ ხალხში გავლენა მოიპოვო. „რეალისტურ“ პარტიის წარმომადგენლებს არ შეჰშვერის ასეთი უტოპისტური შეხედულება. მათ უნდა იცოდენ, რომ პარტიული მექანიზმი სწორედ მაშინ იქნება კარგი, როდესაც პარტია ხალხთან არის დაკავშირებული და ხალხის ფართო მასსის ინტერესებს იცავს და არა მის გაბატონებულ ჯგუფებისას. ამნაირი „მონანიება“, რომელშიაც გამომჟღავნებული არ არის მთავარი შეცოდება ხალხის წინაშე, ვერავის სულს ვერ მოუტანს ცხონებას.

„საქართველო“ გრძნობს, რომ პარტიული მექანიზმის გარდა სხვა რამეც არის საჭირო ხალხში გავლენის მოსაპოვებლათ—ეს არის ხალხთან დაკავშირება:

„ამ კავშირის გასაბმელად კი საჭიროა არა მარტო დიდი ორგანიზატორული ნიჭი, არამედ დიდი ზნეობრივი სიფაქიზეც, რადგან ხალხი ინსტიქტიურად გრძნობს თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელების ზნეობრივ პიროვნებას და აშკარად ენდობა ისეთ ადამიანს, რომელსაც რაიმე შესამჩნევი მორალური მანკი აქვს. ამით აიხსნება სხვათა შორის ის უჩვეულო გავლენა, რომელიც ზოგიერთმა სოციალისტთა მოღვაწემ მოიპოვა ქართველ ერში.

ყველა მიხვდება, რომ ეს „ზოგიერთი მოღვაწე“ სოც.-დემ. პარტიის ლიდერებია. ეს აღიარება მაინც დამსახურებათ ჩაეთვლება „საქართველოს“. დამსახურებათ ჩაეთვლება მას აგრეთვე ის დაფასება, რომელსაც აკეთებს გაზეთი თავის ყოფილ ამხანაგების—„დამოუკიდებლების“ შესახებ:

„საზღვნიეროდ, საპარლამენტო ფრაქცია ორად გაიყო და სამუდამოდ ჩამოგვშორდნენ ჩვენი ღირსებით თანამგზავრები. მაგრამ გაზეთ „ხალი კლდის“ ჯგუფი, სამწუ-

# დღეს

მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით დაინიშნა თფილისის მილიციის საქმეთა რევიზია.

---

გერმანელთა უკანასკნელი ეშელონი ფოთიდან ჯერ კიდევ არ გასულა. უკრაინით გზის დახურვის გამო, ეშელონი აპირებს ბოსფორ-ტრიესტით გამგზავრებას, უკეთუ ამის ნებას დართავენ შეთანხმების სახელმწიფონი.

---

შეთანხმების სახელმწიფოებმა უარჰყვეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გერმანიას მიაწოდონ სურსათ სანოვაგე და ნება დართონ გერმანიის ნაპირებთან ნავოსნობის განახლებაზე.

---

ინგლისის ახალ მთავრობაში უმეტეს ნაწილი ძველი შემადგენლობაა. სამინისტრო შემდგარია 30 უნიონისტის, 35 ლიბერალისა და 6 მუშათა პარტიის წარმომადგენლისაგან.

---

ხაროდ კიდევ ატარებს ეროვნულ-დემოკრატიის სახელს. ეს დიდათ სახიფათოა ჩვენთვის. ის წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენ შორის აღმოჩნდა, პრინციპიალურად უნდა გამოირკვეს და გაღრმავდეს, თუ შესაძლებელია მართლაც გარდაუვალი სალი კლდე უნდა აღიმართოს ეროვნულ-დემოკრატიასა და ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებელ ნაციონალისტებს შორის. რასაკვირველია, ამიერიდან ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე კონტაქტი ვიქონიოთ იმ ადამიანებთან, რომელნიც საზარცხვინო უკანა კარების პოლიტიკას აწარმოებდნენ და თავიანთი გაზეთის პირველ ნომრებში აშკარად შორეული პრინციპებისთვის ოცნებობდნენ. საერთაშორისო რევოლიუციის მსვლელობამ შემდეგ ფრთები შეაკვეცა მათ ოცნებებს. ეს რომ არ მომხდარიყო, ამ ავანტიურისტებს შეიძლება საქართველოში ისეთი სამოქალაქო ომი გამოეწვიათ, როგორიც უკრაინაში ჰეტმანის მიმდევრებმა გამოიწვიეს".

ასე კარგათ ხედავს „საქართველო" სხვის პარტიის ცოდვებს. თავის თავის შესახებ მას არა აქვს სწორი წარმოდგენა. თავის ბუნებრივს, თანდაყოლილ „ცოდვას" იგი ვერ ხედავს:

„ნამდვილად კი ეროვნული-დემოკრატია თავისი პირვანდელი შეუბღალავი პრინციპების მიხედვით არ შეიძლება ბურჟუაზიული პარტია იყოს მიტომ, რომ ის არ არის კლასობრივი პარტია. პასუხისმგებელი მეთაურები იმ თავითვე სინტეტიურ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებენ".

საქებური საქმეა ცოდვათა შენანიება, მაგრამ, თუ ყველაზე დიდს და მიუტევებელ ცოდვას ვერ ხედავ, ცნობებსაც ვერ მიაღწევ. ვეჭვობთ, რომ ნაციონალ დემოკრატებმა ამნაირ „განწმენდით" შესძლონ ხალხის ნდობა მოიპოვონ.

---

## დაშნაკელთა თავხედობა

დაშნაკელები უსირცხვილო ხალხია. მათ შექმნეს საშინელი ომი. ერთმანეთს შეაწყვიტეს სომხის და ქართველი დემოკრატია. ჩაიდინეს უსაშინელესი ბოროტება, რომლისთვისაც სახელიც კი ვერ მოგვიგონია.

ასეთებს ყოველ ქვეყანაში მოსისხლე მტრათ გამოაცხადებდნენ და ისე მოეპყრობოდნენ, როგორც ბოროტმოქმედებს. მაგრამ მათ მისდევს მასსა და ჩვენმა დემოკრატიულმა მთავრობამ ამ ფაქტს ანგარიში გაუწია და მით შეძლება მისცა გაზეთის გამოცემის.

როგორ მოიხმარეს მათ ეს დემოკრატიზმი მთავრობის?

აი რას სწერს მათი ორგანო „ჰარაჩი":

„ჩვენ არ ვიმედობთ, რომ მთავრობის პარტია ერთბაშათ მოიგონებს დემოკრატიზმის ელემენტარულ მოთხოვნილებას და გადასდებს არჩევნებს, ან გამოცვლის ან გასაგებათ გახდის ქვეშევრდომის კანონს...

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეგ სასირცხვილო კანონმდებელი აქტები დროის განმავლობაში გასწორდებიან, მაგრამ ეხლა კი უფლება გვაქვს მოვითხოვოთ მთავრობისაგან, რომ შეაჩეროს ხომეხთა მდევნელი პოლიტიკა, დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს ყველა ის ხომხები, რომლებიც მოგროვილი არიან „ცენტრალურ ბანაკებში", ლაგამი ამოდოს სამხედრო მთავრობას, შეაჩეროს სომეხთა მჭამელი მისწრაფებანი, გაანთავისუფლოს „დაშნაკცუთუნის" სამხედრო და სასოფლო კომიტეტები, დაუბრუნოს განმანათლებელ საზოგადო დაწესებულებებს წართმეული ქონება. ერთი სიტყვით, გადასდგას ის ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა დასამტკიცებლათ, რომ სომეხი მშრომელი ხალხი საქართველოში არ იმყოფება კანონის გარეშე. აი ის მინიმუმი მოთხოვნილება და პირობები, რომლებიც საჭიროა, რომ სომხობამ მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

„უამისოთ მონაწილეობის მიღება საქართველოს ხომხებისთვის უაზროა და ფაქტიურათ შესასრულებელი არ არის".

ამ რიგათ „ჰარაჩის" თავხედობა იქამდის მიდის, რომ იგი ჩვენს მთავრობას ულტიმატუმით მიმართავს. სხვათა შორის, იგი მოითხოვს: სომხეთის ქვეშევრდომ „სამხედრო ტყვეების" განთავისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობის შეძლება არ გვექნებაო.

მეტი თავხედობა კიდევ შეიძლება?

ერთი უნდა ვიკითხოთ, სომხეთის მთავრობის აგენტებისაგან შესდგება ეს გაზეთი და მისი რედაქცია, თუ საქართველოს მოქალაქეებისაგან?

ცხადია, დაშნაკელ კუზს ლომბიერება ვერ გაასწორებს...

---

## საქართველო-სომხეთის წარმომად. ყრილობა.

10 იანვარს დაიწყო საქართველო სომხეთის კონფერენციის მუშაობა იმ კითხვების გამოსარკვევათ, რომლებიც დაკავშირებული იყო 1918 წლის 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე, 1919 წ. 1 იანვრის დაწყებისას ჩამოვარდნილ დროებითი ზავის გარშემო.

კონფერენციის შემადგენლობა: ინგლისსა და საფრანგეთის მხრივ—პოლკ. სტუარტი (თავმჯდ.), კონსული დიურუა, კაპ. დუაბარი და სხვ.

საქართველოს მხრივ—ე. პ. გეგეჭკორი, ნ. ბ. რამიშვილი, გენ. გედევანიშვილი და კ. საბახტარიშვილი.

სომხეთის მხრივ—მ. მ. არუთიუნიანი, გენ. ყორღანოვი, ს. ტ. მამიკონიანი, ა. ხაჩატრიანი, ტერ ხაჩატრიანი და ა. ხონთქარიანი.

კონფერენციას 4 სხდომა ჰქონდა. ყველა ძირითადი საკითხების გარშემო, რომლებიც კი კონფერენციას წინ ედგა, საქართველოს და სომხეთის შეხედულებანი მეტად განსხვავებული აღმოჩნდა ერთი-ერთმანეთისაგან და ყველა ამ უთანხმოებებში გადამწყვეტ ხმად გამოდგა მოკავშირეთა წარმომადგენლების ხმა, როგორც ნეიტრალურ მხარისა.

პირველი დავა შეეხებოდა იმ ხაზს, რომელზედაც უნდა გაჩერდნენ საქართველოს რესპუბლიკის ჯარები.

საქართველოს დელეგაციამ კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ჯარები უნდა დარჩნენ იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეჭირათ სამხედრო მოქმედებების შეჩერების მომენტში, ე. ი. 31 დეკემბრის ღამის 12 ს. სომხეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ საქართველოს ჯარებს დაეხიათ იმ ხაზამდე, რომელზედაც ისინი იყვნენ „დროებითი ზავის ხელშეკრულობაზე ხელმოწერის მომენტში".

ორივე შეხედულობის გამორკვევის შემდეგ, მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი სრულიად ეთანხმებიან საქართველოს დელეგაციის შეხედულებას. ამისდა მიხედვით მოხდა დადგენილება კონფერენციისა. ამ დადგენილების წინააღმდეგ სომხის დელეგატებმა წერილობითი პროტესტი შეიტანეს.

შემდეგი კითხა, რომელმაც დიდი უთანხმოება გამოიწვია კონფერენციაზე, იყო კითხვა ადმინისტრაციის შესახებ ნეიტრალურ ზონაში.

ამ კითხვის შესახებ სომხების დელეგატებმა წარადგინეს გეგმა 3 პირისაგან კომისარიატის მოწყობისა: ერთი იქნებოდა საქართველოს მთავრობიდან, მეორე სომხეთის მთავრობიდან და მესამე ადგილობრივი მცხოვრებლებიდან, ამასთანავე ეს კოლეგია იქნებოდა მოკავშირეთა სარდლობის კონტროლის ქვეშ.

საქართველოს დელეგაციამ წამოაყენა სხვანაირი შემადგენლობა კომისარიატისა: თითო წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთიდან და თითო წარმომადგენელი ყველა იმ ერებისა, რომლებიც კი მოსახლეობენ ნეიტრალურ ზონაში.

მოლაპარაკების მსვლელობაში საქართველოს დელეგაციამ წამოაყენა უფრო მარტივი სქემა კომისარიატის ორგანიზაციისა: თითო წარმომადგენლები საქართველოსა და სომხეთიდან იმ პირობით, რომ ყველა კითხვები, რომლებიც კი უთანხმოებას გამოიწვევდა ამ წარმომადგენლებში გადასცემოდა მოკავშირეთა სარდლობას გადასაწყვეტად.

ეს წინადადება მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ.

მესამე კითხვა, რომელიც კონფერენციამ გადასჭრა, ეხებოდა ნეიტრალურ ზონაში მოთავსებულ რკინის გზას. სომხეთის დელეგაციამ წამოაყენა, რომ ადგენილიყო ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის მოძრაობა იმ შერეული კომისიის ხელმძღვანელობით, რომელიც შესდგებოდა იმავე პრინციპის მიხედვით, რომელი პრინციპითაც იქნებოდა შედგენილი ადმინისტრაცია ნეიტრალურ ზონაში.

საქართველოს დელეგაციამ შეიტანა წინადადება ყოველგვარი სარკინისგზო საქმე ნეიტრალურ ზონაში გადასცემოდა საქართველოს რესპუბლიკის გზათა სამინისტროს.

ამ წინადადებაზე სომხეთის დელეგაციამ საწინააღმდეგო დებულებანი წამოაყენა, რომელიც იმას ამბობდა, რომ ამით ისპობა ნეიტრალურ, სადაო ხაზის პრინციპი და წინასწარ სწყდება კითხვა მისი მომავალი ბედის შესახებ.

მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, გამოდიოდნენ რა მოსაზრებიდან საქმიანი ხასიათისა და ესწრაფებოდნენ რა რკინის გზის მოძრაობის საუკეთესოდ უზრუნველსაყოფად, გადაჭრით მოითხოვეს საქართველოს დელეგატების წინადადების უსიტყვოდ მიღება.

ამ აზრით მოხდა კონფერენციის დადგენილება და ამ დადგენილების წინააღმდეგაც სომხეთის დელეგატებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს.

კონფერენციის თავმჯდომარემ პოლკოვნიკ სტუარტმა, სთხოვა საქართველოს დელეგაციას მიიღონ ზომები, რომ კონფერენციის ეს დადგენილება ცხოვრებაში რაც შეიძლება ჩქარა იყვეს გატარებული.

სომხეთის დელეგაცია ამის შემდეგ ცდილობდა გაეხადა კონფერენციის მსჯელობის საგნად კითხვა ახალქალაქის მაზრაში ადმინისტრაციის მოწყობის შესახებ. ამ წინადადების გამო საქართველოს დელეგაციამ განაცხადა პროტესტი.

საქართველოს დელეგატებმა განაცხადეს, რომ კითხვები, რომლებიც ახალქალაქის მაზრას შეეხებიან, ეკუთვნიან საქართველოს შინაური ცხოვრების კითხვათა რიგს და რომ ამ კითხვებთან არ შეიძლება რამე კავშირი ჰქონდეთ არც სომხეთის მთავრობას და არც კონფერენციას. კერძოდ, საქართველოს დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ახალქალაქის მაზრაში შერეული საკონტროლო კომისიების მოწყობა გატარებული იქნება საქართველოს მთავრობის მიერ შინაური მმართველობის წესრიგისდა მიხედვით.

მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლები დაეთანხმნენ საქართველოს დელეგაციის მოსაზრებებს და კითხვა ახალქალაქის მაზრის შესახებ მოხსნილ იქნა.

სამხედრო ტყვეების კითხვის განხილვის დროს, სომხეთის დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომ განთავისუფლებულ იქნენ ის სომეხი პირები, რომლებიც დაჭერილ იქნენ საქართველოში სამხედრო მოქმედების დაწყებისთანავე, რომელთა წინააღმდეგ ჯერ არ წაუყენებიათ ბრალდებანი სისხლის სამართლის დანაშაულობაში.

საქართველოს დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამგვარი წინადადების მიღება კონფერენციის მიერ იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევა და, რომ ეს კითხვა კონფერენციის მსჯელობის საგანთ არ ეხება. ეს მოსაზრებანი მიღებულ იქნენ მოკავშირეთა წარმომადგენლების მიერ, რომელთაც განაცხადეს, რომ კითხვა საქართველოში დაჭერილ სომხების განთავისუფლების შესახებ უნდა მოხსნილ იქნეს კონფერენციის დღის წესრიგიდან.

გარნიზონების განსაზღვრული რიცხვის დამტკიცების შესახებ მოხდა შეთანხმება.

ამ კითხვის გარჩევის დროს საქართველოს წარმომადგენელი შეეკითხა პოლკ. სტუარტს: იძლევა თუ არა მოკავშირეთა სარდლობა საქართველოში იმის გარანტიას, რომ სომხეთის მხრივ ამგვარი თავდასხმა აღარ განმეორდეს? ამაზე პოლკ. სტუარტმა შემდეგი პასუხი მისცა: მოკავშირეთა სარდლობა აძლევს საქართველოს რესპუბლიკას მოთხოვნილ გარანტიებს, რადგანაც ახალს თავდასხმას მასზე სომხეთის მიერ ის ჩასთვლის, როგორც casus belli-ს არა სომხეთსა და საქართველოს შორის, არამედ სომხეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის.

აქ მოხსენებულით ამოიწურა სამხედრო პოლიტიკური კითხვები, რომლებიც კონფერენციამ გადასჭრა.

წესრიგში სდგას ბონების კითხვის განხილვა, რომელიც სომხეთის დელეგაციის ინიციატივით იყო წამოყენებული. საქართველოს დელეგაციის მოსაზრებების წინააღმდეგ, მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სცნეს ეს კითხვა კონფერენციაზე განსახილველად. საქართველოს დელეგაციამ წინადადება მისცა პოლკ. სტუარტს გაეკეთოს საქართველოს მთავრობას წერილობითი განცხადება ამის შესახებ. ეს წინადადება პოლკ. სტუარტის მიერ მიღებულ იქნა.

---

## თფილისის მილიციის საქმეთა რევიზია

**მთავრობის თავმჯდომარის განცხადება.**

ვაცხადებ ყველას საყურადღებოთ, რომ 14 ამ იანვარს მე დავაარსე კომისია ქალაქ თფილისის მილიციის საქმეების სარევიზიოდ და მილიციის მოხელეთა ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან თფილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს ბრალმდებელნი, მათი ამხანაგები, მთავრობის იურისკონსულტი, საქართველოს პარლამენტის წევრნი და სხვები.

ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვრელად და დამნაშავეთა დასასჯელად მოვუწოდებ ყველას ვინც დაზარალებულა მილიციის მოხელეთა უკანონო მოქმედებით ან ვისაც რაიმე ცნობები აქვს იმათ მიერ ჩადენილ ბოროტების შესახებ, განუცხადონ ამის შესახებ ზემო აღნიშნულ კომისიას.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

14 იანვარი 1919 წ.

ქ. თფილისი.

---

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

15 იანვარი.

**გერმანული პრესის ცნობები.**

სარწმუნო წყაროებიდან ცნობაა, რომ გრაფ ჩერნინმა გადასწყვიტა უარი სთქვას გერმანია-ავსტრიის დამფუძნებელ კრების კანდიდატობაზე.

ჩეხიის პრემიერ მინისტრს კრამარჟს იანვრის 9 თავს დაესხნენ სიკვდილის განზრახვით და ორჯერ ესროლეს რევოლვერიდან. მინისტრი უვნებელათაა. მსროლელი დააპატიმრეს.

ბოლშევიკების ამბოხება ბერლინში თითქმის სრულიად ჩააქრეს. მეამბოხენი უკანასკნელ დღეებში იძულებული იყვნენ შეტევიდან თავდაცვაზე გადასულიყვნენ. შაბათს ღამე ძლიერი ბრძოლა იყო. მთავრობის ჯარმა აამოქმედა ნაღმის მტყორცნელი, ცეცხლის წამკიდებელი ყუმბარები და არტილერია.

მთელი პრესა, გარდა დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების გაზეთების „ფრაი-ჰაიტ"-ისა და „რესპუბლიკისა", მთავრობის მოქმედებას ამართლებს. „ფორვერტსი" ამტკიცებს, რომ საჭიროება არ მოითხოვდა მთავრობის გადმოგდებას, ტყვიისმფრქვევლების ამუშავებას, აუარებელ უდანაშაულო მცხოვრებთა მხვერპლს—ყოველ შემთხვევაში, მთავრობის გადაყენება, თუ ის საჭიროა, უნდა მოხდეს მშვიდობიანი გზით. რადგანაც დამღუპველი მოქმედება ხდება ქუჩებში, მთავრობას არ შეუძლია ყოყმანი დაიწყოს. მთავრობა იძულებულია ან დაყაროს იარაღი, ანდა გაბედულათ იმოქმედოს.

მთავრობა ფიქრობს, რომ მისი ერთად ერთი მოვალეობაა ამ ჟამათ იმოქმედოს გაბედულათ. „გერმანია" აღნიშნავს, რომ ყოველი მოქალაქე მოვალეა უნდა რაცხდეს თავს მთელი ძალ ღონით იბრძოლოს დანაშაულობის წინააღმდეგ. ასეთის მოქმედების გულგრილათ ყურება არ შეეფერება კულტურულ ერს. მთავრობამ ყოველგვარ ზომას უნდა მიმართოს მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველათ.

„დოიტჩე ტაგებლატი" ახასიათებს სპარტაკელების ახალი ტაქტიკის მიზანს, რომელიც სცდილობს სახალხო კომისარების არსებულ მთავრობაში დამოუკიდებლებმა მიიღონ მონაწილეობა. ეს სჩანს მოთხოვნილებიდან შეადგინონ კომისია კოალიციონურ საფუძველზე და პოლიციის უფროსი შესცვალონ დამოუკიდებელთა შეთანხმებით.

გერმანიის გაზეთები იუწყებიან დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატების ლიდერების ლიდებურის და მეიერის დატუსაღების შესახებ.

პოლკოვნიკ დეტას ხელმძღვანელობით 13000 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი ბერლინში შევიდა იანვრის 11. რაზმმა გაიარა კანცლერის სახლის წინ, სადაც სახალხო კომისარმა ებერტმა მიმართა სიტყვიტით, რომელშიაც სხვათა შორის სთქვა: ჩვენ მადლობას გწირავთ უკანასკნელ დღეებში თავგანწირულ მოქმედებისათვის, რომელიც მოწმობს, რომ თქვენ მტკიცეთ და ერთგულათ იცავთ რესპუბლიკას და მთავრობას. თქვენ უნდა წინააღუდგეთ უგნურ ელემენტების სურვილს ჩაიშალოს ეროვნულ ყრილობის არჩევნები. ეროვნული ყრილობა იქნება თავისუფალ ხალხის ნება-სურვილის გამომხატველი. იგი გადასწყვეტს გერმანიის ხალხის მომავალ ბედს. ეროვნულ ყრილობას მხარს უჭერს გერმანიის ხალხის დიდი უმრავლესობა. უგუნურ უმცირესობას სურს უმრავლესობის დამორჩილება. მაგრამ ჩვენ თუ კი აუცილებელი შეიქნება გადამწყვეტი ზომების მიღება, მოვიყვანთ გონებაზე ამ ერთ მუჭა ხალხს. შემდეგ ილაპარაკა ნოსკემ, რომელმაც, სხვათა შორის, სთქვა: ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს რაზმი, რომელიც ჩვენს წინ სდგას შესძლებს გამომაფხიზლებელი შთაბეჭდილება მოახდინოს იმ ელემენტებზე, რომლებმაც მიზნათ დაისახეს საზოგადოებრივი წესრიგის და სიმშვიდის დარღვევა. მთავრობა იბრძოლებს ამ ელემენტების წინააღმდეგ ყოველგვარ საშუალებით. არ არის შორს ის დრო, როცა დავაწყნარებთ ამ ბრბოს. თუ 19 იანვარს კიდევ შეეცადნენ მშვიდობიან მდგომარეობის დარღვევას, მაშინ ჩვენ ვიცით, თუ როგორ ვებრძოლოთ მათ.

დროებითი ზავის გერმანიის კომისიამ ნეიტრალურ კომისარს გადასცა გერმანულ წითელ ჯვრის რწმუნებულთა ექიმების სათნოების დათა და მღვდლების თხოვნა, რომ ნება მისცენ მათ ინახულონ ნეიტრალურ ქვეყნებში სამხედრო ტყვეების ბანაკები.

შეთანხმების სახელმწიფოებმა უარჰყვეს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გერმანიას მიაწოდონ სურსათ-სანოვაგე და ნება დართონ გერმანიის ნაპირებთან ნავოსნობის განახლებაზე.

დროებითი ზავის გერმანულმა კომისიამ აღნიშნა, რომ საფრანგეთის ელჩმა შვეიცარიაში სამშობლოში დაბრუნების ნება არ მისცა შვეიცარიაში დაკავებულ გერმანელ ჯარისკაცებს. დროებითი ზავის გერმანულმა კომისიამ სთხოვა საფრანგეთის კომისიის თავმჯდომარეს გაუქმებულ იქნას საფრანგეთის ელჩის განკარგულება.

გერმანიის 3 შიკრიკი, რომელნიც ბელგიის მთავრობის სურვილისამებრ და გერმანულ კომისიის ლეგალურ ნებართვით ბელგიაში წამოვიდნენ გერმანიაში გატანილი ბელგიის მთავრობის დოკუმენტების დასაბრუნებლათ, ბელგიის გაზეთების ცნობით ბრიუსელში დააპატიმრეს. დროებითი ზავის გერმანულმა კომისიამ ამის გამო პროტესტი განაცხადა.

გენერალ ფელდმარშალმა ფონ ჰინდენბურგმა ამერიკულ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გერმანიის ჯარებმა რკინის აღმოსავლეთით უკან დაიხიეს სრული წესრიგით და რაც შესაძლებელი იყო ჩქარათ. სხვათა შორის, მან განაცხადა: „ჩვენ ვასრულებთ დროებითი ზავის პირობებს რამდენადაც ხელს გვიწყობს მიმოსვლის საშუალებანი. დროებითმა ზავმა გვისწრო ჩვენ მწუხარეობისა და უბედურების ჟამს. ყველაზე მძიმეა ჩვენთვის ასეთ მოკლე ხანში დიდძალ ორთქმავლების და ვაგონების ჩაბარების მოთხოვნა. ეს დიდათ დასტანჯავს გერმანიას. მე ვრჩები გერმანიის ჯარის მთავარ-სარდლათ, რადგანაც ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია სამშობლოს გადარჩენა ქაოსისაგან. როდესაც წესიერი დემობილიზაცია მოხდება, ჩემი მიზანი მიღწეული იქნება. რაც შეეხება მომავალს, მას მიმდინარე ამბები გადასწყვეტს. ბლოკადის გაგრძელება გერმანიას ძალიან შეაწუხებს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ომი გათავებულია და... (გაუგებარია)...

**ინგლისური პრესის ცნობები**

დეკემბრის განმავლობაში 630 დატყვევებული მტრის კოლონიელები დააბრუნეს სამშობლოში. ისინი იყვნენ ინვალიდები და ან ჯარში გასაწვევ ჰასაკს გადაცილებული. სამხედრო უფლებამ ეხლა გადასწყვიტა, რომ არ არის საჭირო ინგლისში დააკავონ ჯარში გასაწვევი მოწინააღმდეგეთა მოქალაქე.

სჩანს ბერლინში მთავრობა იმარჯვებს. დღეს მიღებულ ცნობით სპარტაკელთა ყველა ბუდეები განადგურებულია და მოძრაობის ბევრი ხელმძღვანელი დაპატიმრებულია. მათ შორის ლიბკნეხტის შვილი, როზა ლიუქსემბურგი, ლედებური და მეიერი მთავრობის ჯარს „ფორვერტს"-ის შენობის აღების დროს დაუჭერია 800 კაცი და ქალი, ხელთ უგდია 100 ტყვიისმფრქვეველი, 1 200 თოფი და 1000 ყუმბარა. იუწყებიან, რომ მთავრობას ჰყავს 20,000 კაცისაგან შემდგარი ერთგული ჯარი, რომელიც ბერლინში სდგას. კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკი რადეკი დაუპატიმრებიათ, ხოლო ეიცჰორნს გაქცევა მოუსწრია. მოდის ცნობები პროვინციაში არეულობის შესახებ.

ახალ კაბინეტში უმთავრეს მინისტრებათ დანიშნულნი არიან შემდეგი პირნი: ლოიდ ჯორჯი—პირველი მინისტრი, ბონარლოუ—თემთა პალატის თავმჯდომარე, ბერკენჰედი—ლორდთა პალატის თავმჯდომარე, ბეერსი და ერუსკი უპორტფელო მინისტრები, გედესი—ლორდ კანცლერი, სმიტი—შინაგან საქმეთა მინისტრი, გამარ გრანკუდი—საგარეო საქმეთა სეკრეტარი, ბალფური—ახალშენის საქმეთა სეკრეტარი, მილნერი—სამხედრო მინისტრი, ჩერჩილი—საავიაციო მინისტრი, გენ. მაიორი სელლე—საავიაციო სეკრეტარის თანაშემწე და საავიაციო საბჭოს თავმჯდომარეთ, მონტეგიუნი—ინდოეთის საქმეთა სეკრეტარი, მის თანაშემწედ—სენ სისლა.

ახალ მთავრობაში უმეტესი ნაწილი ძველი შემადგენლობაა. გამონაკლისს შეადგენს სინლას დანიშვნა, რომელიც მოულოდნელი იყო, რადგან წინასწარ სიაში არ იყო აღნიშნული. სინლა პირველი ინდოელია, რომელიც ბრიტანეთის მთავრობაში შედის და ფიქრობენ, რომ მას პერის ხარისხს მიანიჭებენ. სამინისტრო შემდგარია 30 უნიონისტისაგან, 35 ლიბერალისაგან და მუშათა პარტიის 4 წარმომადგენელისაგან, რომლის რიცხვი არჩევნების შემდეგ 6 ავიდა.

ლოიდ ჯორჯმა რკინის გზელთა დეპუტატებს განუცხადა, რომ კანონი რკინის გზაზე ნაციონალიზაციის განხორციელების შესახებ პირველ საკითხთა შორის წარედგინება პარლამენტს.

ბერლინიდან მოსული უკანასკნელი დეპეშები იუწყებიან, რომ ბერლინში მთავრობის მდგომარეობა თანდათან მტკიცდება. ბერლინში მოხალისეთა დიდი რაზმები მიდის.

---

## საქართველოს პარლამენტი

თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.

მდივანი აქვეყნებს დღის წესრიგს, რომელიც პარლამენტმა უცვლელად მიიღო. პარლამენტში შემოვიდა სოც. ფედერალისტთა ფრაქციის შემდეგი განცხადება: ვინაიდან ალ. წერეთელი გამორიცხულია პარტიიდან ამიერი-

# ამხანაგებო და მოქალაქენო!

**თფილისის მცხოვრებთა აღწერა დასრულდა. ვინც სიაში შეტანილი არ არის, თითონ უნდა მოიკითხოს საუბნო კომიტეტში და ჩააწერინოს თავი. მოქალაქენო, არ დაჰკარგოთ ხმა საქალაქო მომავალ არჩევნებში. მიდით და გაიგეთ საუბნო კომიტეტებში—ხართ შეტანილი სიაში თუ არა.**

დან იგი აღარ ჩაითვლება პარლამენტის წევრადო.

არსენიძე მოახსენებს პარლამენტს საბოლოო ტექსტებს: ქალაქთა საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულების შეცვლისა და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებში ენის ხმარების შესახებ. პარლამენტმა უკამათოთ მიიღო ზემო ჩამოთვლილი კანონთა საბოლოო ტექსტები. სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს შ. მიქელაძე ოსთა წარმომადგენელთა მანდატის შესახებ. პარლამენტმა დაამტკიცა.

**კანონ პროექტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა.**

**მ. რუხია** ეს კანონ პროექტი უკვე დიდი ხანია წარმოდგენილი იყო და ამის შესახებ მე უკვე მ ხსენება გავაკეთე პარლამენტში. ნაფიც მსაჯულობა ეს დიდი მოვალეობის დაკისრება არის მოქალაქესთვის და მიტომ იბადება კითხვა—შეუძლიან თუ არა ყველა მოქალაქეს აასრულოს ეს ფუნქციები? ცხადია, რომ ყველა მოქალაქე არ იქნება ღირსი გაასამართლოს სხვა; იგი, ვინც თითონ იყო დასჯილი სხვადასხვა ბოროტ მოქმედების ჩადენისათვის, ვერ იქნება მოსამართლე. აგრეთვე ამ კანონის ძალით მოსამართლე უნდა იყოს არა ნაკლებ 25 წლისა. არის მეორე დებულება ამ კანონში: ვისაც არ ეცოდინება წერა კითხვა არც ერთ ენაზე, იგი არ იქნება დაშვებული ნაფიც მსაჯულათო და აგრეთვე ის, ვინც არ იცის სახელმწიფო ენა, რომელზედაც იქნება საქმის წარმოება და გასამართლებაო. რუსეთში არსებულ ნაფიც მსაჯულთა კანონში ნაფიც მსაჯულები მხოლოდ უპასუხებდნენ შემდეგ კითხვებზე. დამნაშავე თუ არა ბრალდებული და თუ დამნაშავეა, ღირსია თუ არა შეღავათის? რაც შეეხება თვით სასჯელის მისჯას ეს მოსამართლეებს ჰქონდათ დაკისრებული. ამ დებულების თანახმათ კი მთელი სასჯელის მისჯა ეკისრებათ ნაფიც მსაჯულთ. კომისიის აზრით, თუ ნაფიც მსაჯულთ ანდობენ ისეთ კითხვის გადაჭრას, როგორიც არის დამნაშავეთ ცნობა ბრალდებულისა, მეორე უბრალო ტეხნიკური კითხვის გადაჭრა, სასჯელის მისჯა, უნდა დაეკისროს იგივე ნაფიც მსაჯულთ, რომლებიც არსებულ კანონების ფარგლებში მისჯიან ამა თუ იმ სასჯელს დამნაშავეს. ნაფიც მსაჯულთა სიის შედგენა ევალება საოლქო სასამართლოს გამწესრიგებელ სხდომას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, მაზრის ერობის თავმჯდომარე და სამ-სამი ხმოსანი მაზრის და ქალაქის.

**გაბაშვილი.** ამ კანონით თქვენ უბრალო წერა-კითხვის მცოდნეს ანდობთ რთულ საკითხების გადაჭრას. სასჯელის მისჯა უნდა ევალებოდეს მცოდნე იურისტს და არა ნაფიც მსაჯულთ.

**მესხიშვილი** (იუს. მინ.). პარლამენტის წევრნო! იმ კითხვის შესახებ, რომელზედაც აქ ლაპარაკობდა გაბაშვილი, დიდი ხანია ატყდა დავა აქ პარლამენტში და აგრეთვე პრესაში. მე არ მიკვირვებს, როდესაც ამ კითხვის შესახებ ასეთ უვიცობას იჩენს გაბაშვილი. ეგ იურისტი არ არის, ამ საკითხის შესახებ მეცნიერული ცოდნა არა აქვს და ასეთი გამოსვლები შეიძლება ეპატიოს, მაგრამ, როდესაც ამავე არგუმენტებს იმეორებდა აქ პარლამენტში იურისტი გვაზავა, ეს კი პირდაპირ დანაშაულობაა. უკანასკნელ დროს მეცნიერებაში დაიბადა ის საკითხი, თუ კი ნაფიც მსაჯულთ ანდობენ ისეთ რთულ კითხვის გადაჭრას, როგორიც არის დამნაშავეთ ცნობა ბრალდებულისა, რატომ უეჭველად მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მინდობილი სასჯელის მისჯა. ამ კითხვის გადაჭრაც უნდა დაეკისროს ნაფიც მსაჯულთ, რომლებიც არიან გამომხატველნი ხალხის სინიდისის, მისი სამართლისა. ნაფიც მსაჯულთან ერთად სასჯელის რაოდენობის გადაწყვეტაში, კანონში განსაზღვრულ სასჯელის ფარგლებში, მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე იურისტები. აქ გვაზავა იძახდა დამისახელეთ ის ქვეყანა, სადაც თვით ნაფიცი მსაჯულები სწყვეტდენ სასჯელის მისჯასო. 1891 წლიდან ჟენევაში შემოღებული იყო ეს და კარგი ნაყოფიც გამოიღო. საფრანგეთის იურისტები ამავე პრინციპს იზიარებენ, კერენსკის მიერ დაკანონებულ სამხედრო სასამართლოში იყო ეს პრინციპი. როდესაც ამა თუ იმ პირს დამნაშავეთ ცნობდენ, მაშინ მსაჯულნი თვით სწყვეტდენ რა სასჯელი მიესაჯათ, რასაკვირველია, არსებულ კანონის ფარგლებში. თუ ჩვენ დავაკანონებთ იმ პრინციპს, რომ თვით ნაფიცი მსაჯულნი უნდა სწყვეტდენ სასჯელის რაოდენობას, ამით ჩვენ მივუახლოვდებით დამნაშავეთა სამართლიან განსჯას. რა უცნაური რომ ეს წესი არ არსებობდა რუსეთში, მაგრამ რუსეთის კანონებში ბევრი ისეთი რამ იყო, რომელიც ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. ჩვენ კი უნდა განვასახიეროთ ის, რაც გონიერებასთან არის დაკავშირებული.

კამათი შეწყდა, გადაწყდა პროექტის მუხლობრივი განხილვა. პროექტის მე 4 მუხლში მ. მაჩაბელს შესწორება შეაქვს, რომ სამღვდელო პირნი არ იყვნენ გამორიცხულნი ნაფიც მსაჯულთა რიცხვიდანო.

**არსენიძე** უპასუხებს მაჩაბელს და აღნიშნავს, რომ მღვდლებს, რომლებსაც მორწმუნენი აღსარების დროს უტყდებიან ყოველივე ცოდვებში, შეუძლებელია რომ მათვე დაეკისროთ ამა თუ იმ პირის გასამართლება. ეს იქნებოდა ფუნქციების არევ-დარევა. ის პირნი, კომისრები და სხვები, რომლებსაც აქვთ კავშირი წინასწარ გამოძიებასთან და სხვა და სხვა ფუნქციებს ასრულებენ სამართლის წარმოების დროს არ იქნებიან დაშვებულნი ნაფიც მსაჯულებათ. პარლამენტმა მაჩაბლის შესწორება უარჰყო.

იწვევს კამათს ის მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ დანაშაულობის საქმენი და საკითხები, რომელნიც სისხლის სამართლის წესდებით ექვემდებარება სასამართლო პალატას, უნდა დაექვემდებაროს საოლქო სასამართლოსო.

**მესხიშვილი.** იურიდიულმა კომისიამ, ერთი პრინციპიალური დებულება, რომელიც ჰქონდა დართული ამ პროექტს, სრულიად გააუქმა. დღევანდლამდე ასეთი წესი არსებობს: სასამართლოს პალატა სწყვეტდა საკითხს—არის თუ არა საკმარისი მასალა, საბუთები, რომ ესა თუ ის პირი იქნას მიცემული სამართალში. თვით ფაქტი ბრალდებულის სკამზე დასმის, არის დასჯა, როგორც მორალური, აგრეთვე ქონებრივი და უნდა არსებობდეს მეტი გარანტია, რომ ტყუილ-უბრალოთ უდანაშაულო ადამიანი არ მიეცეს სამართალში. ამ საკითხს აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც. თუ კი დაუსაბუთებელი საქმე გადაეცემა სასამართლოს და ბრალდებულს გაამართლებენ ეს იქნებოდა ზედმეტი ხარჯები სახელმწიფოსთვის.

როდესაც სწყდება საკითხი მიეცეს თუ არა ესა და ეს პირი სასამართლოს, აუცილებლათ საჭიროა ამ კითხვის გადაწყვეტის დროს ბრალდებულის ან მისი ვექილის დასწრება. ამით ჩვენ გვექნება მეტი გარანტია, რომ ტყუილ უბრალოთ არ გადასცენ ბრალდებულთა საქმე სასამართლოს და ზედმეტ ხარჯებსაც ავცდებით. არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვს დანაშაულობის საქმენი და საკითხები, რომელიც ექვემდებარება პალატას, გადაეცეს საოლქო სასამართლოს, მაგრამ უფლება უნდა მიეცეს ბრალდებულს, ან მის ვექილს მიიღოს მონაწილეობა საკითხის გარჩევის დროს.

**არსენიძე.** იურიდიულ კომისიას აზრათ ჰქონდა, რომ სასამართლოს რთული აპარატი ისე გაგვეადვილებინა, რომ იგი ყოფილიყო სწრაფი, მოძრავი და საქმის დროზე გამრჩევი. რასაკვირველია, ჩვენ პრინციპიალურათ თანახმანი ვართ, რომ ბრალდებულს მიეცეს უფლება სამართალში მიცემის საკითხის დროს, დაესწროს კრებას. და, თუ ჩვენ ეს კითხვა არ შევიტანეთ ამ პროექტში, ეს მიტომ, რომ ეს კითხვა ფრიად რთულია და საჭიროა ამ კითხვისთვის განსაკუთრებულ კანონის შემუშავება. შიში იმის, რომ ეს კითხვა დაგვიანდება, უსაფუძვლოა, რადგანაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას მოუნდება არა ნაკლებ ექვსი თვე და ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელია იმ პრინციპიალურ კითხვის გარჩევა და დაკანონება და დაჩქარებით ამ კითხვის გადაჭრა კომისიას არ სურდა.

**მესხიშვილი** აცხადებს, რომ, რადგანაც იურიდიულ კომისიის თავმჯდომარემ აქ განაცხადა, რომ ისინი პრინციპიალურად არ არიან წინააღმდეგნი ამ კითხვის და განზრახვა აქვთ განსაკუთრებული ნოველა შემოიტანონ ამ საკითხის შესახებ, მე ამის წინააღმდეგ არა მაქვს რა და თითონ ამ მოკლე ხანში შემოვიტან პარლამენტში კანონს, სადაც ეს პრინციპები დაცული იქნება.

კამათი შეწყდა. მიიღეს ეს მუხლი კომისიის მიერ წარმოდგენილ რედაქციით. დებულების სხვა მუხლები პარლამენტმა უკამათოდ მიიღო კომისიის რედაქციით.

## ახალი ამბები

**დღეს, 16 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალურ კომიტეტის ბინაში (გოლოვინის ქ. № 24) შესდგება საკანტროლო კომისიის სხდომა. საჭიროა ყველა წევრების დასწრება.**

**✦ აგრარულ კომისიაში.** აგრარულმა კომისიამ უკვე მიიღო მიწათ-მოქმედების სამინისტროს კანონ პროექტი სახელმწიფო ფონდიდან მიწების კერძო საკუთრებათ მიცემისა. ესერების და ფედერალისტების წინადადება, რომ პარლამენტს განეხილა ეს კანონ პროექტი და დამფუძნებელ კრებისთვის გადაედოთ, კომისიამ უარჰყო. კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის დროს ფედერალისტი წევრები სხდომას არ დასწრებიან, ხოლო ესერების და ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი ფრაქციების დადგენილებით ისინი მონაწილეობას არ მიიღებენ კანონის მუხლობრივ განხილვაში. კომისიამ კანონ პროექტი პარლამენტის პრეზიდიუმს წარუდგინა დღიურ წესრიგში დასაყენებლათ.

**✦ „ალიონელთა“ განცხადება.** „ალიონელთა“ ჯგუფმა ს. ს.-დ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემდეგი განცხადება შეიტანა: „ალიონელთა ჯგუფი“ აცხადებს, რომ მას სურს მთლიან და დამოუკიდებელ საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიაში მონაწილეობა მიიღოს და შეძლების დაგვარად იმუშაოს პარტიის ხელმძღვანელობით საერთო საქმის საკეთილდღეოთ და გასაძლიერებლად.

**✦ საქართველოს მეომრების დამხმარე** კომიტეტმა გენ. მაყაშვილისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „ახალციხის და ახალქალაქის ჯარებმა დიდი მადლობით მიიღეს კომიტეტის მიერ პოზიციებზე გამოგზავნილი საჩუქრები. სიტყვებით ვერ გამოითქმის ის გრძნობები, რომლებითაც სავსეა ჩვენი გულები, როდესაც ვხედავთ ზრუნვას ორგანიზაციების და შემომწირველთა ჩვენი საყვარელი სამშობლოსი, რომელსაც ჩვენ დავიცავთ სიცოცხლის დაუშურებლად.

**✦ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.** 14 იანვარს შესდგა თფილისის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება, სადაც ისაუბრა მომავალ არჩევნებზე რ. ჩიხლაძემ, რის შემდეგ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლიუცია: თფილისის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრებამ იქონია მსჯელობა დამფუძნებელ კრების და ქალაქის არჩევნების შესახებ და გადასწყვიტა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ არჩევნებში და ყველა თავისი ძალები მოახმაროს ამ საქმეს. მოიწვიოს კვირისთვის ფართო საერთო კრება ამხანაგებისა, რომელზედაც გააკეთებენ მოხსენებას პარლამენტის წევრნი.

**✦ სიღნაღიდან შირაქის რაიონის კომისარი** ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ კაზახის მაზრის მცხოვრებნი—ბაზალეთნელები, ყარაბახელები და წამბარდავანელები შემოდიან ჩემს რაიონში, არბევენ მეცხვარეებს და მირეკავენ ცხვრებს. კომისარი სთხოვს გუბერნიის კომისარს აცნობოს ეს განჯის გუბერნატორს.

**✦ პარლამენტის საფინანსო** კომისიამ მოიწონა შრომის მინისტრის ამხანაგის კანონ პროექტი, რომ ადგილი და ჯამაგირი შეუნახოს იმ მუშებს, რომლებიც ფრონტზე იქმნენ გაწვეულნი. კანონ-პროექტი გადაეცა შრომის კომისიას.

**✦ ცენტრალური საარჩევნო კომისია.** დღეს, საღამოს 5 საათზე, თფილისის კომიტეტის ბიუროს ბინაზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა. ამ სხდომაზე უნდა გამოცხადდენ საუბნო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებიც.

**✦ ინგლისურ-ფრანგული კლუბი.** თფილისში გაიხსნება ინგლისურ-ფრანგული კლუბი. კლუბის მიზანია შეასწავლოს ახალგაზდობას ინგლისური და ფრანგული ენები.

**✦ საღამო.** შაბათს, 18 იანვარს, ამიერკავკასიის ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საფინანსო კომისია ამ. კავ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების სალაროს გასაძლიერებლად მართავს დიდს სალიტერატურო საღამოს ფართე პროგრამით.

**✦ დონის ოლქში შემდეგი ბრძანება იქნა** გამოცემული გენ. კრასნოვის მიერ: ყველა ისინი, ვინც დონის ოლქში ცხოვრობენ და არ ეკუთვნიან ოლქის ძირითად მცხოვრებთ და უკანასკნელი მობილიზაციის ძალით ჯარში გასვლა უწევთ, ვალდებული არიან ან გავიდნენ ჯარში, ან გადაიხადონ სამხედრო ბეგარა 250 მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვალდებულნი არიან დატოვონ დონის ოლქი. ვინც არ დაემორჩილება ამ ბრძანებას ერთი კვირის შემდეგ დატუსაღებული იქნებიან და ეტაპით გაიგზავნებიან თავიანთ სამშობლოში.

**✦ „სალიტერატურო“ დილა** ნავთლუღის გვარდიელების მიერ გაიმართება კვირას, 19 იანვარს თეატრ „ოტარიდში“ ნავთლუღის გვარდიის შტაბის პირდაპირ.

**✦ ბათუმელი ამხანაგები** სთხოვენ სერგო ყუფარაძეს, ანტონ ტუსკიას, იპოლიტე ნასარიას (ქუთაისი), გერასიმე კალაძეს, სანდრო მახარაძეს, სიმონ სადრაძეს (სამტრედია), გიორგი მაღნარაძეს (ახალ-სენაკი) და გიზო ანჯაფარიძეს (თფილისი) დაუყონებლივ ჩავიდნენ ბათუმში.

**სახალხო გვარდიის** მთავარი შტაბის დადგენილებით, 17 იანვარს, დილის 10 ს. ყოფილ სამხედრო სასწავლებლის ეზოში (მიხეილის ქუჩა) დაიწყება ცხენების გაყიდვა აუქციონით.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, 16 იანვარს, საღამოს 7 საათზე, დანიშნულია თფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალდემოკრატ სტუდენტთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მეოთხე რაიონული კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე შესდგება ამავე რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, დილის 8 ნახ. საათზე, მეოთხე რაიონულ კოლექტივის ბიუროს ახალ ბინაზე (ოლღას ქ. 29) შესდგება ამიერ-კავკ. ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საფინანსო კომისიის წევრთა მორიგი სხდომა.

— ხუთშაბათს, საღამოს 4 საათზე, დანიშნულია ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მარქსისტ სტუდენტთა კრება მე-4 ფიზიკურ აუდიტორიაში.

— დღეს, 16 იანვარს, საღამოს 6 ნახევარ საათზე, მე 6 რაიონულ კოლექტივის ს. ს. დ. მ. პ. ბიუროს ბინაზე დანიშნულია ამავე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა.

— 16 იანვარს დანიშნულია კრება მესამე რაიონული კოლექტივისა. კახეთის ქ. № 1.

— პარასკევს, 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე, შესდგება პროფესიონალური კავშირების საბჭოს სხდომა.

— ხუთშაბათს, 16 იანვარს საღამოს 6 საათზე შესდგება პროფესიონალური საბჭოს სეკრეტარიატის სხდომა.

## უკანასკნელი ცნობები

**ოზურგეთი.** რადგან 21 და 22 იანვარს ბათუმში უნდა მოხდეს საარჩევნო აღწერა, და რომ ლტოლვილები არ დარჩენ საარჩევნო უფლების გარეშე ოზურგეთის. სამაზრო ერობის გამგეობამ მოახდინა სასწრაფო განკარგულება მთელს მაზრაში. გაეშურონ ლტოლვილები ბათუმისაკენ. საჭიროა მიღებულ იქნას ზომა ვისგანაც ჯერ არს, რომ ლტოლვილები უფასოდ გადაიყვანონ, ხოლო ბათუმში კი მოუწყონ მათ ამ პირველ ხანებში სასადილო.

— ოზურგეთში მძვინვარებს „ისპანკა“, რომელიც თითქოს მისუსტდა, მაგრამ სამაგიეროთ გაჩნდა წინწკლებიანი სახადი და ყვავილი. ბლომისელით ნაწილში გაჩნდა საქონლის ჭირი. საჭიროა ეპიდემიისაგან საბრძოლველათ სამაზრო ერობას მიეცეს ფინანსიური დახმარება, რომ მან მისი ფხიზელი მუშაობა კიდევ უფრო ენერგიულად აწარმოოს. იანვრის პირველ რიცხვიდან ერობა უკვე შეუდგა შკოლების ჩაბარებას.

**ფოთი.** კვირაზე მეტია რაც ფოთში გემები არ მოსულა. ნავთსადგურში „სანლების“ გარდა სდგას ინგლისელთა ნაღმოსანი „№ 13“ და გემი „ვარნა“, რომლითაც გერმანელების უკანასკნელი ეშელონი მიემგზავრება. დღემდე გერმანელები ვერ გასულან გზის უქონლობის გამო. ისინი აპირებენ ბოსფორით და ტრიესტით წასვლას, თუ მოკავშირენი დათანხმდნენ.

ბოლშევიკებმა გარნიზონის ჯარისკაცებში გაავრცელეს თავიანთი შხამით ალსავსე პროკლამაციები. ადგილობრივი ადმინისტრაცია ზომებს არ ღებულობს ამის წინააღმდეგ, ანდა არ იცის ეს ამბავი.

## ახალგაზრდა მარქსისტთა შორის

**ზუგდიდი.** დაარსდა ზუგდიდის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია. პირველი დამფუძნებელი კრება გახსნა პირველ დეკემბერს ამხ. ვლ ჯალალონიამ, რომელმაც სიტყვით მიმართა კრებას და მოუწოდა ენერგიულ მუშაობისკენ. შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ვლ. ჯალალონია, თავმჯდ. ამხანაგათ გრ. ჭაბუკიანი, მდივნად მ. ფიფია, მოლარედ—ც. ცხადაია. აგრეთვე გარჩეულ იქნა სხვადასხვა საკითხები, დასმულნი დღიურ წესრიგში. ორგანიზაციაში ირიცხება ჯერ 25 კაცი. წევრებს განსაკუთრებით შეადგენენ ადგილობრივ გიმნაზიის და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლების მოწაფეები. იმედია, რომ ამ ორგანიზაციის გარშემო თავს მოიყრიან არა მარტო მოწაფეები, არამედ სხვა პროფესიის ამხანაგებიც. დღეს გტყობა, რომ ახალგაზრდობა სერიოზულად ჰკიდებს საქმეს ხელს და გვერდში უდგება საქართველოს სხვა ქალაქების ორგანიზაციებს და იწყებს მასთან მუშაობას. ვუსურვებთ ამ ორგანიზაციას ყოველ მხრივ წინსვლას დასახულ მიზნების განსახორციელებლად.

გ. ჭ—ანი.

## პროვინცია

**სოხუმი.** ათერ თვეზე მეტია, რაც საქართველოს გაზეთებს არც ერთს არ ვღებულობთ ადგილობრივი აგენტის მიზეზით, რომელმაც დროზე ფული ვერ გაუგზავნა რედაქციას და იძულებული გახადა შეეწყვიტა გაზეთების გზავნა. ყოველ ცნობებს მოკლებული ვართ, ადგილობრივი მოწინავე ამხანაგები შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ და მით ჟურნალ-გაზეთების საქმე ცუდათ მიდის. საზოგადოებაშიაც საყვედური გაისმის, ვალდებულია ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციის კომიტეტი მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას და ჟურნალ-გაზეთების საქმეს სასურველათ მოაწყობდეს, მით უმეტეს იმისთანა დროს, როგორც ეხლა. მთელი სოხუმის მცხოვრებლები ყოველივე ცნობებს მოკლებულია.

ყოველივე სანოვაგე ბლომათ შემოაქვთ ბაზარში და შედარებით უფრო იაფათ იყიდება. მახლობელ ქალაქებზე დიდ-ძალი ფართლეულობა ჩამოიტანეს ამ დღეებში და შედარებით იაფათ იყიდება წინანდელზე. ასე რომ, ცხოვრება დღითი-დღე უმჯობესდება.

ქალაქში გახშირებულია დაცემა, ძარცვაგლეჯა. ისე ღამე ან დღე არ გაივლის, ვინმე არ გაძარცვონ. ქალაქის ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამისთანებს. ადმინისტრაცია არ არის თავის ალაგას.

ში—რი.

---

**თიანეთის მაზრა.** მე მინდა ამ პატარა წერილით საზოგადოების და მთავრობის ყურადღება მივაქციო იმ არა ნორმალურ პირობებზე, რომელიც გამეფებულია ღმერთისაგანაც და ადამიანისაგანაც ამ მივიწყებულ მხარეში. მართალია, ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ყველა ის წარსულს ჩაბარდა, თუმცა კი რაც 1918 წელს ზაფხულში მოხდა თიანეთის მაზრაში, მისი დავიწყება არ ეპატიება მთავრობას... ეჰ, რაც იყო, იყო!.. მხოლოდ ეხლანდელი აუტანელი მდგომარეობა უფრო ნათელს ჰყოფს აქაური ადმინისტრაციის მოქმედებას (მაზრის ადმინისტრაცია თავიდან

# დღეს

**ინგლისის მისიამ აცნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მან შემდეგი ცნობა მიიღო ინგლისის მთავრობისაგან: „ინგლისი სიმპატიით უყურებს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მხარს დაუჭერს, რომ ის ცნობილ იქნას სახელმწიფოების მიერ“.**

**გუშინ თფილისში ჩამოვიდა ინგლისის მისიის მეთაური გენ. ფორესტიე ვოლკერი, რომელსაც სადგურზე შეეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი**

**გემის უქონლობის გამო დასავლეთ ევროპისაკენ ჩვენი დელეგაცია ბათუმიდან ჯერ არ გასულა.**

**ახალციხის მაზრაში პროვოკატორები საადგილ-მამულო რეფორმის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან.**

**ამერიკაში მუშათა დიდი გაფიცვებია. განსაკუთრებით მკაცრი ხასიათი მიიღო გაფიცვამ ბუენოს-აირესში. ნიუ იორკში შეთანხმება მოხდა და გაფიცვაც მოიხსნა.**

2. ყველა მოქალაქეს და აგრეთვე მთავრობის წარმომადგენელს უფლება აქვს გაასაჩივროს ქალაქის თვითმართველობის უკანონო დადგენილებები, ხოლო ქალაქის თვითმართველობათა ორგანოების უკანონო დადგენილებათა გაუქმების უფლება უნდა ქონდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

3. ადგილობრივი ერების უფლების უზრუნველყოფა ქალაქის საბჭოში სიტყვები წარმოსთქვან ან განცხადებები შეიტანონ ქალაქის თვითმართველობაში სამშობლო ენაზე.

4. ქალაქის მილიციის ორგანიზაცია. მილიცია ქალაქის თვითმართველობას ემორჩილება.

5. ქალაქის საბჭო ირჩევა ორი წლის ვადით. ამომრჩეველთა უმეტესობას უფლება უნდა ჰქონდეს დაითხოვოს ქალაქის საბჭო რეფერენდუმის საშუალებით ვადის გასვლამდეც.

6. საპასუხისმგებლო თანამდებობის პირნი არჩეულნი უნდა იქნან და მათ სასყიდელი უნდა მიეცეს.

7. ქალაქის საქმეებში ინიციატივისა და რეფერენდუმის უფლება.

8. ქალაქის თვითმართველობის უფლება შეუკავშირდეს სხვა ადგილობრივ ქალაქისა და საერობო თვითმართველობათა ორგანოებს და ამგვარი კავშირების იურიდიული პიროვნების უფლება, აგრეთვე მათთვის უპირატესობათა მინიჭება სახელმწიფო წარმოებათა იჯარით გაცემის დროს.

9. ინიციატივის უფლება ქალაქის თვითმართველობისათვის საერთო სახელმწიფოებრივ საკითხებში.

### II. ფინანსიურ სფეროში.

1. ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ საკუთარ გადასახადების შეწერის უფლება.

2. ყოველგვარი არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება.

3. შემოსავლის კვალობაზე დადებული პროგრესიული მუნიციპალური დამატებითი გადასახადი და პროგრესიული გადასახადი მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაზე.

4. უძრავ ქონებაზე დაუმსახურებელ ზედმეტ შემოსავალზე გადასახადის დაწესება.

5. ფუფუნების საგნებზე გადასახადის შემოღება.

6. კერძო მესაკუთრეთა ცარიელ მიწებზე ქალაქის ფარგლებში გადასახადის დაწესება.

7. ყოველგვარი სავალდებულო გადასახადის გაუქმება საერთო სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შესანახათ.

### III. სახურსათო საქმე.

1. ქალაქის თვითმართველობას უნდა მიენიჭოს, ადგილობრივ საჭიროებათა ფარგლებში, ქალაქში შემოტანილ სურსათის განაწილების უფლება.

2. სურსათისა და პირველ საჭიროებათა საგნების აღრიცხვა, მისი თანასწორათ განაწილება და რაოდენობის განსაზღვრა.

3. ქალაქის თვითმართველობის უფლება მოაწყოს პირველ საჭიროებათა საგნების წარმოება, ყიდვა-გაყიდვა და განაწილება. ამ მიზნით:

ა) ნიხრი უნდა დაედვას ყველა მასიურ სახმარ საგნებს და მოეწყოს ორგანიზაცია, რომელიც თვალყურს ადევნებს დაწესებულ ნიხრის განხორციელებას;

ბ) არსდება საქალაქო დუქნები პირველ მოთხოვნილებათა საგნების გასაყიდათ;

გ) ეწყობა ქალაქის ფურნეები, სარძევე ფერმები და ბოსტნები, სასადილოები და სხვა.

დ) ფართო დახმარება კოოპერატივებს;

ე) ეხლავე უნდა მოეწყოს საკმარისი წყლის მიწოდების საქმე.

### IV. ეკონომიურ სფეროში.

1) ყველა იმ საზოგადოებრივ დაწესებულებათა და წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომელთაც დასახული აქვთ მიზნათ მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება — განათების, გათბობის, მისვლა მოსვლის მხრით და სხვა; აფთიაქებისა და საზოგადო ჰიგიენურ დაწესებულებათა მუნიციპალიზაცია. მუნიციპალურ ნიადაგზე მოწყობილი დაწესებულებანი უნდა ემსახურებოდნენ აგრეთვე ქალაქის განაპირა ადგილებს. მათი მოქმედების პრინციპი უნდა იყოს არა მოგება, არამედ ღარიბ მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სახალხო განათლების და საზოგადო ჰიგიენის ყველა დაწესებულებებს საფუძვლათ უნდა დაედოს უსასყიდლოთ დახმარების პრინციპი.

2) საიჯარო სისტემის გაუქმება და ქალაქის სალმშენებლო და სხვ. სამუშაოები ქალაქმა საოჯახო წესით, საკუთარი ძალებით უნდა აწარმოოს.

3) მუნიციპალურ წარმოებათა მოწყობათა პირველ საჭიროების საგნების დასამუშავებლათ და სავაჭროთ.

### V. სახალხო განათლება.

1) საერო, უფასო, საყოველთაო და სავალდებულო განათლება ყველა ბავშვებისათვის 16 წლამდის. დაარსება უფასო პროფესიონალური სკოლებისა და საბავშვო ბაღების. სკოლებში მოწაფეებს უფასოთ უნდა მიეცეს სასწავლო ნივთები და საუზმე, სწავლება სკოლებში დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს.

2) დაარსება უფასო სახალხო სახლებისა, სახალხო უნივერსიტეტების, წიგნთ-საცავ-სამკითხველოების, საკვირაო სკოლების და მუზეუმების, დროგამოშვებით გამოფენათა მოწყობა, განმანათლებელ საზოგადოებათათვის დახმარების აღმოჩენა, მოწყობა უფასო განათლებისა სკოლის გარეთ დარჩენილ მოქალაქეთათვის, აგრეთვე იმ ბავშვებისათვის, რომელნიც სკოლებში არ შესულან.

3) მოწყობა სკოლებში უფასო სასადილოების, სასკოლო ახალშენებისა და უბინაო ბავშვებისათვის თავშესაფრებისა.

4) სკოლებისათვის ბინების ჰიგიენურათ მოწყობა და საჭირო თვალყურის დევნება.

5) სპეციალურ ფონდის დაარსება იმ ხელმოკლე მოსწავლეთა დასახმარებლათ, რომლებიც სწავლობენ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

6) ქალაქის თვითმართველობის ხელში გადაცემა დაბალ და საშუალო სასწავლებლებისა საჭირო ხარჯების დასაფარავათ სახელმწიფოს აუცილებელი მონაწილეობით.

### VI. საზოგადოებრივი ჰიგიენა და ბინის საკითხი.

1) იაფ ფასიანი და ჰიგიენური ბინების მოწყობა და ამ მიზნით ქალაქის სამშენებლო მოქმედების განვითარება-გაფართოება.

2) ბინის საკითხის მოწესრიგება--სახლებისა, ბინებისა და ოთახების სპეციალისტური ფასების აღკვეთით და ნორმალური ქირის დაწესებით, რომელიც სავალდებულო იქნება, როგორც სახლის პატრონთა ისე დამქირავებელთათვის.

3) ისეთი შენობების აგების აკრძალვა, რომლებიც ჰიგიენურ და სანიტარულ მოთხოვნილებებს არ აკმაყოფილებენ და ისეთების დანგრევა, რომლებიც ჯანმრთელობისთვის მავნებელია, პატრონთათვის ზარალის ანაზღაურებით. სარდაფებში ცხოვრების აკრძალვა.

4) ქალაქის ვიწრო გასასვლელების და ქუჩების გაფართოება; ქალაქის მოწყობა სწორი გეგმის თანახმად.

5) უფასო საქალაქო აბანოების, საბანაოების და სამრეცხაოების მოწყობა უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც ღარიბი ხალხი ცხოვრობს.

6) ქალაქის ყველა ნაწილებში ფეხისალაგების მოწყობა.

7) ღარიბი ხალხისთვის ფართო უფასო სამკურნალო დახმარების აღმოჩენა; დაარსება უფასო საავადმყოფოების, ამბულატორიების, სანატორიუმების, ლაბორატორიების და საქალაქო აფთიაქების; ბინებზე ავადმყოფთათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენა. მოწყობა უფასო სადეზინფექციო კამერებისა და საიზოლიაციო ბინებისა, ენერგიული ბრძოლა ეპიდემიასთან.

8) ბინებისათვის სასანიტარო ინსპექციის დაწესება.

### VII საზოგადოებრივი მზრუნველობა და დახმარება.

1) მცხოვრებთათვის უფასო იურიდიული დახმარებისთვის საქალაქო ბიუროს მოწყობა.

2) მაწოვარ დედათა და ძუძუ მწოვარ ბავშვთა დაცვა.

3) მოხუცთა და ობლებისთვის ქალაქის თავშესაფარის მოწყობა; ბრმებისა და ყრუმუნჯებისთვის სკოლა თავშესაფართა გახსნა. უფასო ღამის თავშესაფარ სახლებისა და მუნიციპალურ ოთახების მოწყობა.

### VIII. მუშათა საკითხი.

1) ქალაქის საწარმოო დაწესებულებებში მუშებთან კოლექტიურ ხელშეკრულებათა შემოღება; 8 საათის სამუშაო დღის დაწესება; კვირაში ერთხელ განუწყვეტელი დასვენება 42 საათის განმავლობაში; სამუშაო ქირის მინიმუმის დაწესება. ქალთა შრომის აკრძალვა იმ საწარმოო დაწესებულებებში, რომელთაც მათი ჯანმრთელობისთვის ზიანი მოაქვთ; აგრეთვე 16 წლამდე ბავშვთა შრომის აკრძალვა.

2) დაარსება შრომის საპარიტეტო ბირჟებისა, მომრიგებელი კამერებისა და შრომის მუნიციპალური ინსპექციისა; უმუშევარ ხელზე მოსამსახურე ქალთათვის უფასო საერთო ბინის მოწყობა.

3) ფართო მონაწილეობის მიღება უმუშევრობისა, ავათმყოფობისა, უბედურ შემთხვევათა და ინვალიდობისაგან დაზღვევის საქმეში.

4) საზოგადოებრივ სამუშაოთა მოწყობა, ხარჯებში სახელმწიფოს აუცილებელი მონაწილეობით.

მოქალაქენო! გასულ არჩევნებზე თქვენ ნდობა გამოუცხადეთ სოციალდემოკრატიას, რომელსაც მაღლა ეჭირა და უჭირავს წითელი დროშა. ამ პარტიის მეთაურობით განმტკიცდა მშრომელი ხალხის ბატონობა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში. მან გაკვალა საიმედო გზა ბედნიერების სამეფოსაკენ და იხსნა ქვეყანა ანარქიისა და შავბნელი რეაქციისაგან.

ხმა მიეცით სოციალდემოკრატიულ პარტიის სიას № 1.

სოციალდემოკრატია საიმედო და ერთგული დარაჯია მშრომელი ხალხის ინტერესების.

**ხმა მიეცით სიას № 1.**

# „დანოსჩიკები“

რუსეთის მართველობის დამყარების პირველ დღეებიდანვე ჩვენში შემოვიდა ცნება „დანოსი“, რაც სრულიად არ ფარავს სიტყვა „დაბეზღების“ მნიშვნელობას. „დანოსი“ განსაკუთრებული ხელობაა, ხოლო „დანოსჩიკი“ ამ ხელობის მიმდევარი ადამიანია. ასეთ ადამიანს ამაოთ მოსთხოვთ ფაქტებისათვის ანგარიშის გაწევას: ის „დანოსჩიკია“ და ამით ყველაფერია ნათქვამი. მიზანი „დანოსჩიკის“ აშკარაა: მისი სურვილია სხვების შეთხზულ ბრალდებებით და მოგონილ ამბებით სხვების დამცირებაზე, საკუთარი კეთილდღეობა ააგოს. „დანოსს“ სთხზავენ პირადი ანგარიშით, სასყიდლის მიღების გულისათვის, მაგრამ არიან „უანგარო“ მაბეზღრებიც, რომელნიც „დანოსჩიკობენ“ ყოველ შემთხვევისთვის, იმ განზრახვით და ანგარიშით, რომ ისინი ალბათ დაჯილდოვებულნი იქნებიან როდისმე.

ასეთს „დანოსჩიკობას“ ეწევა ჩვენში „ტიფლისკი ლისტოკი“. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს ტერიტორიაზე ინგლისის ჯარებმა შემოსდგეს ფეხი, ამ გაზეთს არ გამოუშვია ნომერი, რომელიც „დანოსებით“ არ იყოს სავსე. აიღეთ მაგალითისთვის 16 იანვრის ნომერში მოთავსებული მოწინავე წერილი და პრესა: მოწინავე ცდილობს თითონ ნ. ჟორდანიას ათქმევინოს, რომ მთავრობის განკარგულება მავნე ელემენტების შეპყრობის შესახებ „უმსგავსოება“ იყო. და ამ ველურ აზრის დასამტკიცებლათ ერთი ცხოველივით მოწმეთ მოყავს არშაკ ზურაბოვი.

რის დამტკიცება სურს ამით გაზეთს, თუ არ იმისი, რომ მთავრობა ვითომ ერთს აკეთებს, ხოლო მისი თავმჯდომარე მეორეს, რაც ნიშნავს სრულს უმთავრობობას. იგივე მოწინავე წერილი დოლუხანოვის სიტყვის თანახმათ აქებს ქართველ ხალხს და მას უპირდაპირებს პარლამენტს და მთავრობას, ესე იგი იმეორებს იმას, რასაც ჩვენი დაუძინებელი მტრები ამბობდენ—მთავრობა გერმანელების ხიშტებს ემყარებაო. ამით ალბათ ბ ნ პროფესორს სურს ასიამოვნოს, რუსულ ეროვნულ საბჭოს მსგავსათ, აქ მყოფ მოკავშირეთა დელეგაციას. მაგრამ მოწინავე წერილის ავტორი მიკიბულ მოკიბულათ „დანოსჩიკობს“, პრესის ავტორი კი პირდაპირ საზიზღარ „დანოსს“ სწერს: „ერთობა“ ძალიან ეფერებოდა ვილჰელმს და სასტიკათ კიცხავდა რუსეთსო.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოძულე ორგანო რუს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას ცოდვათ გვითვლის; მაგრამ სად, რომელ ნომერში ამოიკითხა „ლისტოკის“ ხელმძღვანელმა ვილჰელმისადმი ჩვენი სიმპატია? საქართველოს მოძულე პროფესორს, რასაკვირველია, არ მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა, მაგრამ ნუ თუ ის ვალდებული არაა კალმის ყაჩაღებს ერიდოს, რომ ყალბი ინფორმაციით სასაცილო მდგომარეობაში არ ჩაიგდოს თავისი თავი!

# ქართველ-სომეხთა კონფერენცია

15 იანვარს კონფერენციამ განიხილა სომხების მიერ აღძრული საკითხი, რათა განთავისუფლებულიყო სეკვესტრისაგან სომხების მთავრობის ის ფულები, რომელიც საქართველოს მთავრობამ დააკავა თფილისის ქალაქის ბანკებში საომარ მოქმედების დაწყებისთანავე.

ამ კითხვის გადაწყვეტას სომხეთის დელეგაცია დიდ მნიშვნელობას აძლევდა. საქართველოს დელეგაცია, პირიქით, ამ საკითხს სთვლიდა კერძო კითხვათ, რადგანაც ფულები დაკავშირებული იყო ომის მიერ გამოწვეული უფლებით, როგორც სამხედრო ჯილდო („პრიზი“) და ეს კითხვა მჭიდროთ დაკავშირებულია სამხედრო ზარალის ანაზღაურებასთან ომის გამომწვევ მხარის მიერ.

საქართველოს დელეგაცია მოითხოვდა, რომ ეს კითხვა არ გარჩეულიყო კონფერენციაზე. და მასთან ერთად, სცნობდა რა, რომ სომხეთის მთავრობა არ შეიძლება დატოვებულ იქნას უფულოთ, საქართველოს დელეგაციამ წინადადება მისცა სომხებს, რომ დაუყონებლივ ამ საკითხის შესახებ მიმართონ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა უწყებას.

დიდი ხნის კამათის შემდეგ, როდესაც გამოირკვა ორივე მხარის შეხედულებანი, მოკავშირეთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს უჭერენ საქართველოს დელეგაციის აზრს.

ამგვარათ სეკვესტრის სახით ჩამორთმეული ფულების საკითხი მოიხსნა კონფერენციის დღის წესრიგიდან.

გუშინ, 16 იანვარს, სპეციალური ფინანსიური თათბირი ჰქონდა ორივე რესპუბლიკათა წარმომადგენლებს.

# უკანასკნელი ცნობები

### ინგლისი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

15 იანვარს ინგლისის მისიამ შეატყობინა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ მისიამ დეპეშა მიიღო ინგლისის საგარეო საქ. სამინისტროდან, რომ საქართ. რესპუბლიკის დელეგატებს შეუშვებენ ევროპაში; რომ მათი მიღება და დაბინავება პარიზში დამოკიდებული იქნება საფრანგეთის მთავრობაზე; რომ კითხვას საერთაშორისო კონგრესზე მათი დაშვების შესახებ გადასწყვეტენ მოკავშირენი და რომ **ინგლისი თავის მხრივ სიმპატიით უყურებს დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მხარს დაუჭერს იმას, რომ ის ცნობილ იქნეს სახელმწიფოების მიერ.**

**ინგლისის მისიის მეთაურის ჩამოსვლა.**

გუშინ, 16 იანვარს, თფილისში ჩამოვიდა მეთაური ინგლისის მისიისა გენ. ფორესტიე-ვოლკერი. გენერალის სპეციალურ მატარებლიდან გამოსვლის დროს, რომლითაც ის მოვიდა, სადგური წარმოადგენდა ლამაზ სურათს. ერთის მხრივ გამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, რომელიც შესდგებოდა 1 ლი ქართული ცხენოსანი პოლკის „ვეზოდისაგან“, მის პირდაპირ იდგა ინგლისელ ჯარისკაცთა ყარაული, რომელნიც გენერალს მოჰყვნენ. სადგურზე დასახვედრად მოსულნი საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. ბ. საბახტარაშვილი და სამხედრო მინისტრის ამხანაგი გედევანიშვილი მიესალმნენ დიდ სტუმარს, რაზედაც გენ. ფორესტიე-ვოლკერმა მილოცვითვე უპასუხა და თბილი მადლობა გადაუხადა შემხვედრელებს.

ამის შემდეგ გენ. ფორესტიე-ვოლკერი მისთვის საგანგებოთ მოწყობილ ბინაზე წავიდა.

**ახალციხე.** 15 იანვარი. ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭომ 15 იანვრის სხდომაზე მოისმინა რა მოხსენებები საბჭოს წევრების რაიონებიდან ხალხში ბნელი პროვოკატორული ძალების მუშაობის შესახებ, დაადგინა: მიწის მუშათა საბჭო იზიარებს რა გლეხთა ყრილობის დადგენილებას დამფუძნებელი კრების და ერობის არჩევნებში მხურვალე მონაწილეობის მიღების შესახებ, სასტიკათ გმობს მოსყიდულ პროვოკატორების მოქმედებას და მოუწოდებს მაზრის გლეხებს ფხიზლათ იყვნენ, ნუ აყვებიან პროვოკატორებს და მთელი თავისი ძალ ღონით მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა; საბჭო აღიარებს აუცილებელ საჭიროებათ კულტურულ მუშაობის გაძლიერებას. ამავე დროს საჭიროდ მიაჩნია მთავრობამ მკაცრი ზომები მიიღოს უპასუხისმგებლო პირების წინააღმდეგ, რომელნიც სარგებლობენ რა ხალხის სიბნელით, გვიმზადებენ ახალ მონობის უღელს.

ახალციხის მიწის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე **ყაჭეიშვილი.**

**ბათუმი.** 14 იანვარი. (საქ. კორ.) გამოვიდა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ მე 3 ნომერი ჰასან ხიმშიაშვილის რედაქტორობით. გაზეთის ნახევარი ოსმალურ ენაზეა. სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალი ჩვენი დელეგაცია ჯერ ვერ წასულა გემის უქონლობის გამო. საოლქო საბჭო მასლოვის მეთაურობით განაგრძობს თავის ლვარძლიან პოლიტიკას. სიყალბესაც არ ერიდება. ერთი თავისი სავალდებულო დადგენილება თვითმართველობის სახელით გამოსცა. თვითმართველობის პროტესტმა არ გასჭრა. ეტყობა ზურგი გამაგრებული აქვს. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭო თავის შემადგენლობით ინტერნაციონალურია, მაინც აშკარა რუსულ შოვინიზმულ პოლიტიკას აწარმოებს. ცდილობს გახსნილ ყოფილ სახელმწიფო დაწესებულებებში რუსები მიიღოს. ოლქის საპოლიციო უბნებში, გარდა ერთისა, უცხოელებია დანიშნული, მაგრამ ესენი წასვლას ვერ ბედავენ. ამავე საბჭოს მეოხებით არც ქალაქის თვითმართველობას უყურებენ კარგის თვალით.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

16 იანვარი.

### ინგლისის პრესის ცნობები.

სერ ჩარლზ ვინდჰამი ინფლუენციით გარდაიცვალა.

მოკავშირეთა უმაღლეს სამხედრო საბჭოს სხდომა ჰქონდა პარიზში. სხდომაზე ითათბირეს სხვადასხვა საკითხზე და დროებითი ზავის ვადის გაგრძელების შესახებ. შემდეგ კონფერენციამ ითათბირა მომავალ საზავო კონფერენციის გეგმის შესახებ.

პოლონეთის პრემიერი პადარევსკის თავის ბინაზე უცნობებმა მსუბუქათ დასჭრეს. ექვსი რამოდენიმე კაცი დააპატიმრეს. მტკიცდება, რომ ეს თავდასხმა ბოლშევიკების შეთქმულობის შედეგია.

გაფიცვები ამერიკაში.—ფაქტიურათ გაფიცვები მხოლოდ ნიუიორკშია. ქვა-ნახშირის შემოზიდვა საგრძნობლათ შემცირდა, რაც განაპირა ნაწილებს მიმოსვლის შეწყვეტით ემუქრება. სურსათის საკითხი სერიოზულათ სდგას. ადგილობრივი მთავრობა ზომებს იღებს, რომ განახლდეს მუშაობა და მუშებს ხელფასის მომატებას პირდებიან.

ბუენოს-აირესში ნავთსადგურის მუშების გაფიცვებია. გაფიცულ მუშათა რიცხვი 150,000 აღწევს. გაფიცულებმა დასწვეს რამოდენიმე შენობა, სადაც დიდძალი ამუნიცია ინახებოდა. გაფიცვების დაწყებას გერმანელების აგენტების აგიტაციას აწერენ. ბუენოს-აირესში, როგორც სჩანს, ანარქიაა. გახშირდა ექსცესები—ძარცვა-გლეჯა და უმიზეზოთ ხალხის კვლა.

უკანასკნელი ცნობით ნიუ-იორკის მუშების უმეტესობამ, შრომის ბიუროს მოწოდების შემდეგ, თანხმობა განაცხადეს განაახლონ მუშაობა.

ბერნში სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს. კომუნისტებმა ჯარის კაცთა საბჭოებში დეპუტატები შესცვალეს და ებერტის მთავრობას გაუგზავნეს დეპეშა, სადაც მოითხოვენ მისი მთავრობის გადადგომას.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ რომელიც სწერს, რომ ბერლინში მდგომარეობა არა მთავრობის სასარგებლოა, იმავე დროს აღნიშნავს დამხმარე ძალების მრავლათ შემოსვლას, რომლებიც ეჭვს გარეშეა, აღადგენენ მთავრობის სასარგებლო მდგომარეობას.

### გერმანული პრესის ცნობები.

პოლიციის მთავარ სამმართველოს და სილეზიის სადგურის აღებით 12 იანვარს ბერლინი სრულიად გაიწმინდა სპარტაკელებისაგან. პოლიციის სამმართველოს ზარბაზნებს უშენდენ. მას სროლა პირველად აუტეხეს კვირას, ღამით 1 საათზე, ჯერ ტყვიისმფრქვეველებით და შემდეგ გარიჟრაჟზე ზარბაზნებიც აამოქმედეს იმ მოსაზრებით, რომ გათენებამდე სახლზე იერიშის მიტანა შესაძლებელი გამხდარიყო. 25 ყუმბარის გასროლის შემდეგ პოლიციის სამმართველოდან სროლა შესწყდა. მთავრობის ჯარმა ხელის ყუმბარების სროლით გზა გაიკაფა მიწის ქვეშ რკინის გზის შესავალისკენ, რომელიც პოლიციის სამმართველოსთან გადის,—მიაღწია პოლიციის სამმართველოს შენობას და მთავარი შესავალი ააფეთქა. ჯარის მეორე ნაწილმა შენობა დაიჭირა და 450 კაცი ტყვეთ ჩაიგდო, რომელნიც ალექსანდრეს ბარაკში გაგზავნეს. მთავრობის ჯარი სრულიად არ დაზარალებულა, სპარტაკელებს კი მოუკლეს 12 და დაუჭრეს 18.

სილეზიის რკინის გზის სადგური ადვილათ აიღეს, რადგან სპარტაკელები დაიბნენ, როცა გაიგეს, რომ ყველა მთავარი პუნქტები დაკარგეს. მცირე სროლის შემდეგ სპარტაკელები ძლეულ იქნენ და დანებდნენ მთავრობის ჯარს. პოლიციის უფროსი ეიხგორნი გაიქცა. არ იციან სად იმყოფება. მთავრობის ჯარმა ბერლინის ახლო მარიენფელდში დეიმლერის ქარხანა გაანთავისუფლა სპარტაკელებისაგან. პოლიციის სამმართველოს აღების შემდეგ მთავრობის ჯარმა იქ მუშაობა განაახლა. პოლიციის მოხელენი, რომელთაც რევოლუციის პირველ დღეებში ნოემბრის 9—19-ში იარაღი აჰყარეს და სამსახურიდან დაითხოვეს, ისევ მიიღეს სამსახურში და იარაღი დაუბრუნეს. ყველა კერძო პირთ იარაღს ჰყრიან. მთავრობის ჯარმა უკვე დაიწყო იარაღის ჩამორთმევა.

სპარტაკელების დამარცხების შემდეგ ბერლინში სიწყნარე და წესრიგია. სპარტაკელები ზოგიერთ ადგილებიდან განაგრძობდნენ სროლას, მაგრამ მათ სდევნის მთავრობის ერთგული ჯარი. მთავარ სარდალმა ნოსკემ გასცა მკაცრი ბრძანება ძალით იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

რადეკმა ბერლინი დასტოვა. ლიბკნეხტი და ეიხგორნი უკვალოთ სადღაც გაქრნენ, პოლიცია დარწმუნებულია, რომ მალე დაიჭერენ მათ.

ფოსტის და რკინის გზის მოსამსახურეები იმუქრებიან მუშაობის შეწყვეტით, უკეთუ საჭიროთ არ შეაჩერებენ დაპატიმრებას.

უკანასკნელი ცნობებით ბუდაპეშტში ფარული თათბირი ხდებოდა. ბოლშევიკების რწმუნებულებს ამ დღეებში რაღაც განზრა-